ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 5 იანვარი, 2017 №3 (7238) ფასი: 50 თეთრი

შალვა ნათელაშვილი: „ოცნებამ“ ბანკ „ქართუს“ ვალი სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადაიხადა“

გვ.3

„პანკისი სირია არ გახდება“

რა მოხდა 3 იანვარს დუისში

გვ.5



იმამი ბექსან ფარეულიძე:
„ეს სწორედ ისლამის და მუსლიმი ხალხის დისკრედიტაციის სურვილით ჩადენილი ქმედებაა“

ნუგზარ წიკლაური: „ნაცმოძრაობა მის მფლობელს უნდა დაუბრუნდეს“

გვ.2

სერგო რატიანი პარტიის ყრილობის ლეგიტიმურობას ეჭვქვეშ აყენებს

„ყრილობის დელეგიტიმაციის და საბოტაჟის ნებისმიერი მცდელობა მიმართულია პარტიის რაიონული ორგანიზაციების თავმჯდომარეთა და ნაციონალური მოძრაობის ათასობით წევრის წინააღმდეგ და თანხვდება ივანიშვილის სურვილს, დაასუსტოს მთავარი ოპოზიციური ძალა“

მამუკა არეშიძე: „მარგველაშვილს პოლიტიკური ინტრიგის გამოცდილება არ აქვს“

გვ.4

„მარგველაშვილმა ფიქრი საკუთარ პოლიტიკურ თამაშზე დაიწყო“ გვ.3

ანზორ აბრალავა: „უსუფაშვილისა და მარგველაშვილის ჩამოწერის აქტი გაფორმებულია“

„თუ უმრავლესობის დეპუტატები ხიბლში ჩაცვივდებიან, უსუფაშვილის ბედს გაიზიარებენ“ გვ.3

ოთარ ანგურიძე: „აქციზის შემოღება რთულად მისაღები გადაწყვეტილება იყო“

გვ.6

ISSN 1987-9385

ნუგზარ წიკლაური: „ნაცმოძრაობა მის მფლობელს უნდა დაუბრუნდეს“

შორენა მარსაგიშვილი

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა

სერგო რატიანი პარტიის ყრილობის ლეგიტიმურობას ეჭვქვეშ აყენებს

ნაციონალების დაშოშმინება ვერაფრით ხერხდება. არადა ამბობდნენ, რომ სენატორი მაკეინი ახალ წელს თბილისში მათ შესარიგებლად ჩამოვიდა. წავიდა თუ არა მაღალი რანგის სტუმარი, ნაციონალები ერთმანეთს დაერივნენ. პირველი ქვა პარტიის აღმასრულებელმა მდივანმა სერგო რატიანმა ისროლა, რომელმაც საახალწლო უსტარში პროვოკაციული ფრაზები ჩააქსოვა და დაბეჯითებით განაცხადა, რომ 20 იანვრისთვის დაგეგმილი პარტიის ყრილობა ლეგიტიმური ვერ იქნება.

ეს წერილი სერგო რატიანმა პარტიის რაიონული და საქალაქო ორგანიზაციის ხელმძღვანელებს გაუგზავნა. მისი მტკიცებით, ყრილობის საორგანიზაციო პროცესი წესების დარღვევით მიმდინარეობს:

– 2016 წლის 30 ნოემბერს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკურმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება 2017 წლის 20 იანვარს პარტიის ყრილობის გამართვის თაობაზე. ყრილობის ორგანიზებისთვის პოლიტიკურ საბჭოს უნდა განესაზღვრა სპეციალური კომისიის შემადგენლობა, რაც არ მომხდარა, შესაბამისად, ყრილობის ორგანიზება შევიდა იურიდიულ ჩიხში.

ჩვენთვის ცნობილია, რომ პარტიის რაიონული ორგანიზაციების ზოგიერთი თავმჯდომარე აპირებს დელეგატთა შესარჩევად კონფერენციების მოწვევას, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ კონფერენციის ჩატარების წესი არ არის განსაზღვრული პარტიის წესდებით, აგრეთვე პოლიტსაბჭოს სხდომა, რომელზეც უნდა გაწერილიყო კონფერენციების ორგანიზების წესი – არ შედგა, შესაბამისად, არალეგიტიმურად ჩატარებული კონფერენცია არ იქნება უფლებამოსილი და იურიდიული ძალის მქონე. კონფერენციების გარდა, სამართლებრივად აგრეთვე დაურეგულირებელია, თუ როგორ დგება ყრილობის დღის წესრიგი და როგორ განისაზღვრება ყრილობაზე ხმის მიცემისა და დათვლის პროცედურა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ყრილობის საორგანიზაციო მთელი პროცესი მიმდინარეობს წესების დარღვევით, შესაბამისად, ნაციონალური მოძრაობის ყრილობა ვერ იქნება ლეგიტიმური და მას ვერ ექნება პარტიისთვის სამართლებრივი შედეგები, – ნათქვამია აღმასრულებელი მდივნის წერილში.

რატიანის წერილმა აჭარის რეგიონულ ორგანიზაციამდეც მიაღწია. წერილს წერილითვე უპასუხეს აჭარელმა ნაციონალებმა. ლევან ვარშალომიძის განცხადებით, 20 იანვარს დანიშნული ყრილობა აბსოლუტურად ჯდება კანონის ფარგლებში.

ვარშალომიძის გუნდი იმითაც არის აღშფოთებული, რომ 2016 წლის გამპრავებელ ნაციონალებს 20 იანვრის ყრილობა არალეგიტიმურად ეჩვენებათ.

– სამწუხაროა, როდესაც პარტიის ვიწრო ჯგუფი, მათ შორის აღმასრულებელი მდივანი, ცალსახად ეჭვქვეშ არ აყენებს 8 ოქტომბრის არჩევნების ლეგიტიმურობას და მიგვანიშნებს 20 იანვრის ყრილობის „იურიდიულ ჩიხზე“. მიგვაჩნია, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა არის ამომრჩეველთა პარტია და აქ გადაწყვეტილებას იღებს მისი უზენაესობა – ხალხი. მიგვაჩნია რომ, ენმ-ის ყველაზე მთავარი ღირებულება, ეს არის დემოკრატიული პროცესები რომელსაც უნდა ემორჩილებოდეს ჩვენი პარტიის ყველა წევრი მიუხედავად მისი რეგალიისა თუ სტატუსისა.

2016 წლის 30 ნოემბერს პოლიტსაბჭომ განსაზღვრა ყრილობის ჩატარების წესი და თარიღი!!! დღეს პარტიის აღმასრულებელი მდივნის მხრიდან ამ დემოკრატიული წესით განსაზღვრული ყრილობის იურიდიულ „ლაფსუსებზე“ საუბარი, რბილად რომ ვთქვათ, იმ ღირებულებებისგან გადახვევის ტოლფასია, რა ღირებულებებზეც იდგა და დგას ჩვენი პარტია...

ენმ-ს აჭარის რეგიონალური ორგანიზაცია ცალსახად ემიჯნება ამ განცხადებას და მიაჩნია, რომ 20 იანვარს დანიშნული ყრილობა აბსოლუტურად ჯდება კანონის ფარგლებში. ერთადერთი ძალა, რომელიც დაასრულებს რუსი ოლიგარქის, ბიძინა ივანიშვილის მმართველობას ქვეყანაში, გახლავთ მბჯ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, რომლის ყრილობაც გაიმართება 20 იანვარს, სრულიად კანონიერად და სამართლიანად. ვიმედოვნებთ, რომ გაითვალისწინებთ ჩვენი მხარდამჭერების აზრს და არ შეაფერხებთ პროცესებს, ვინაიდან დრო არ ითმენს ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, – ნათქვამია რატიანის საპასუხოდ დაწერილ წერილში.

ვარშალომიძის გარდა რატიანი ნინო კალანდაძემ, გიორგი ბოტკოველმა და ნუგზარ წიკლაურმაც დაგმეს.

ნინო კალანდაძე დარწმუნებულია, რომ 20 იანვრის ყრილობა პარტიის ერთიანობას საფრთხეს არ შეუქმნის. მისი თქმით, არც იმით

დაშავდება რამე თუ პარტიიდან რამდენიმე ადამიანი წავა. გავრცელებული ინფორმაციით, 20 იანვრის შემდეგ პარტიიდან გიგა ბოკერიას დაჯგუფების წევრები წავლენ.

– პარტიის ერთიანობას საფრთხე არ ემუქრება, პარტიაში არსებობს 33 000-ზე მეტი რეგისტრირებული დელეგატი ანუ წევრი, პარტიას ჰყავს 500.000-ზე მეტი ამომრჩეველი. ნაციონალურ მოძრაობას დაშლა არ ემუქრება.

ნაციონალური მოძრაობა იფუნქციონირებს ისე, როგორც არის, რადგან „ნაციონალური მოძრაობა“ არ არის 60 კაცი, პარტია არ არის 7-კაციანი სამდივნო. ეს ნიშნავს იმას, რომ იქნება თუ არა პოლიტსაბჭოს 20 წევრი პარტიაში, ეს ნაციონალურ მოძრაობას საფრთხეს არ უქმნის. პარტიიდან, სამწუხაროდ, წასულან მისი წევრები, გვახსოვს 2004 წლიდან მოყოლებული და უახლესი მაგალითებიც, მაგალითად, გიორგი ვაშაძე და ზურაბ ჯაფარიძე, ამის გამო „ნაციონალური მოძრაობა“ არ დაშლილა და არც ახლა დაიშლება თუ რამდენიმე ადამიანი პარტიიდან წასვლას გადაწყვეტს, – განაცხადა ნინო კალანდაძემ.

პარტიის კახეთის რეგიონული ფრთის ლიდერი გიორგი ბოტკოველი სერგო რატიანს საბოტაჟში ადანაშაულებს. მისი თქმით, ეს პროცესი მალე დასრულდება, რადგანაც 20 იანვარს პარტიის ხელმძღვანელობა აუცილებლად შეიცვლება.

– მთავარი პრობლემა არის ის, რომ სერგო რატიანი დაკავებულია საბოტაჟით. დღეს მისი საქციელი და წერილი არის საბოტაჟი. ყველა თავმჯდომარემ მივიღეთ ეს წერილი. მე ამავდროულად ვარ თელავის ორგანიზაციის თავმჯდომარე და კახეთის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი და შემიძლია მკაფიოდ ვთქვა, რომ რატიანის ეს განცხადება არ არის „ნაციონალური მოძრაობის“ განცხადება. მთავარი შიში, რომელიც გააჩნია იმ პატარა ჯგუფს, თუ რა შედეგი დადგება 20 იანვარს ყრილობაზე, არის შიში იმისა, რომ ჩვენი აქტივი ერთხმად დაუჭერს მხარს იმ გადაწყვეტილებას, რომელიც ყველაზე სამართლიანი იქნება. ამ ყრილობიდან უნდა ველოდოთ იმას, რომ აუცილებლად შეიცვლება „ნაციონალური მოძრაობის“ ხელმძღვანელობა, ჩამოყალიბდება ახალი პოლიტსაბჭო, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში გიორგი ბოტკოველმა.

სერგო რატიანის ქმედებებში საბოტაჟის ნიშნებს ხედავს ყოფილი დეპუტატი ნუგზარ წიკლაური. მისი თქმით, ყრილობის არალეგიტიმურად გამოცხადება ერთი კაცის – ბიძინა ივანიშვილის ინტერესებში შედის.

პარტიის ერთ-ერთი ლიდერი დარწმუნებულია, რომ ყრილობა კარგად ჩაივლის, პარტია განახლდება და ის კანონიერ მფლობელს დაუბრუნდება.

– 20 იანვრის მასშტაბური განახლების ყრილობისთვის მზადება არ შეგვიწყვეტია თვით ახალი წლის დღეებში.

პარტიულ ორგანიზაციათა უდიდეს ნაწილს უკვე განსაზღვრული და გადმოგზავნილი აქვს დელეგატთა სიები.

ყრილობის დელეგიტიმაციის და საბოტაჟის ნებისმიერი მცდელობა მიმართულია პარტიის რაიონული ორგანიზაციების თავმჯდომარეთა და ნაციონალური მოძრაობის ათასობით წევრის წინააღმდეგ და თანხვდება ივანიშვილის სურვილს, დაასუსტოს მთავარი ოპოზიციური ძალა.

კარჩაკეტილობა და კულუარული მართვა აფერხებს ჩვენს ბრძოლას ივანიშვილის რეჟიმთან. პარტია უნდა განახლდეს და დაუბრუნდეს მის მფლობელს – ჩვენს აქტივისტებს და ასობით ათას მხარდამჭერს. განახლების ყრილობა გაიმართება 20 იანვარს, თბილისში. ძალა ერთობაშია! – წერს ნუგზარ წიკლაური ფეისბუქის საკუთარ გვერდზე.

.... დღის ბოლოს სერგო რატიანს პარტიაში მომხრეებიც გამოუჩნდა. ახალბედა დეპუტატი ოთარ კახიძე ამტკიცებს, რომ პარტიის ყრილობის ლეგიტიმურობა ეჭვქვეშ დგას.

– საორგანიზაციო კომისიის შემადგენლობა ყრილობას უნდა განესაზღვრა. თუმცა, ბოიკოტის გამო, ასეთი რამ ვერ მოხდა. სერიოზული იურიდიული ხარვეზები იკვეთება ამ მხრივ. ვერ გეტყვით, რა მოვლენები შეიძლება განვითარდეს თუ სამართლებრივი საკითხები ვერ

მოგვარდება. მაშინ შესაბამისი ორგანოები გადაწყვეტენ, თუ რამდენად ცნობენ იმ შედეგებს, რომელსაც ყრილობა დადებს. ამ ეტაპზე ყრილობის ლეგიტიმურობა სერიოზული საფრთხის წინაშე დგას, რადგან მთელი რიგი საკითხები, რომელიც გასაწერი იყო, არ არის გაწერილი, რადგან პოლიტსაბჭოს სხდომა ბოიკოტის გამო ჩაიშალა, – განაცხადა ოთარ კახიძემ.

◆ ◆ ◆

პარტიის ყრილობამდე არც პარტიის ორად გაყოფას გამორიცხავენ. ამ თემაზე განცხადება უკვე გააკეთა დეპუტატმა გიგი წერეთელმა. მისი თქმით, თუ გაყოფა მოხდა, ნაციონალების ერთი ნაწილი ევროპულ საქართველოში გადავა.

აღსანიშნავია, რომ ევროპული საქართველო გიგი წერეთლის მამის მიერ შექმნილი პარტიაა. თავიდან მას ლექტორთა კავშირი ერქვა. ამ პარტიამ არჩევნებში ნაციონალებთან ერთად მიიღო მონაწილეობა.

ყრილობაში 7.000 დელეგატი მიიღებს მონაწილეობას. მათ სკაიპის მეშვეობით მიმართავს დევნილობაში მყოფი მიხეილ სააკაშვილი. არ გამორიცხავენ, რომ ყრილობის დღეს დაპირისპირებული ნაციონალები ერთმანეთს ფიზიკურად გაუსწორდნენ. ისინი ერთმანეთს საჯაროდ „დაპადიეზდებით“ და კვერცხების სროლით ემუქრებიან.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ანზორ აბრალავა: „უსუფაშვილისა და მარგველაშვილის ჩამოწერის აქტი გაფორმებულია“

„თუ უმრავლესობის დეპუტატები ხიბლში ჩაცვივდებიან, უსუფაშვილის ბედს გაიზიარებენ“

მარიამ მჭედლიშვილი

ბოლო დღეებში საქართველოს მედიის მთავარი თემა გახდა ყოფილი პარლამენტის თავმჯდომარის, დავით უსუფაშვილისა და პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის კომენტარები. მათი განცხადებების საბაბი გახდა პრეზიდენტის არჩევის წესის შესაძლო შეცვლა. ყოფილი დეპუტატი ანზორ აბრალავა „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში გამოთქვამს აზრს, რომ პოლიტიკაში პერსპექტივა არც დავით უსუფაშვილს აქვს და არც გიორგი მარგველაშვილს.

ანზორ აბრალავა:

– პოლიტიკაში ბევრი რამ ინერციით ხდება. ეს ეხება ადამიანებსაც, აზრებსაც და იდეოლოგიასაც.

– დავით უსუფაშვილი გყავთ მხედველობაში?

– დიახ. მას აქვს პოზიტიური თვისებები, მაგრამ ის პოლიტიკაში ვერაფერს გააკეთებს. ახლა ეს ადამიანი ხიბლშიცაა და თან დაბნეულია. ცოტა ხნის წინ დავით უსუფაშვილმა მიიღო ის, რაც მას არც დაესიზმრებოდა. ის გახდა პარლამენტის თავმჯდომარე და თავდაცვის მინისტრის მეუღლე. შემდეგ მას ვადა ამოეწურა, ახალ არჩევნებში დამარცხდა. ამას მოჰყვა მის მიერ პარტიის მიტოვება. ეს უდროო და უადგილო ნაბიჯი იყო. ასეთ დროს პარტიის დატოვება გაუმართლებელია. დავით უსუფაშვილი დარჩება ექსპერტად, კარგ იურისტად, მაგრამ პოლიტიკოსად – ვერა.

– მისი კომენტარი პრეზიდენტის გადადგომაზე სხვადასხვანაირად აღიქვეს.

– პრეზიდენტის ან სხვა თანამდებობის პირის საკუთარი ნებით გადადგომა ძალიან კარგია პიარისთვის. მით უმეტეს მაშინ, თუ რომელიმე გადაწყვეტილებას ეწინააღმდეგება. ასეთ პიროვნებას აღიქვამენ სამართლიან და პრინციპულ ადამიანად. საქმე ისაა, რომ ჩვენ სხვა ვითარება გვაქვს.

– მიგაჩნიათ, რომ გიორგი მარგველაშვილმა ეს ნაბიჯიც რომ გადადგას, ის პოპულარული მაინც ვერ გახდება?

– საქართველოში ხალხს ამაზე რეაქცია არ ექნება. თუ გადადგა, ამაზე რამდენიმე დღის განმავლობაში ილაპარაკებენ და ამით დამთავრდება ყველაფერი. ერთ მდინარეში ორჯერ არ შედიან. უსუფაშვილისა და მარგველაშვილის ჩამოწერის აქტი გაფორმებულია.

– პრეზიდენტის არჩევის წესის შეცვლა, თუ ეს მოხდა, 2023 წლის არჩევნებს უნდა შეეხოს. გამოდის, რომ მანამდე, ანუ 2018 წელს პრეზიდენტს ისევ პირდაპირი წესით ავირჩევთ.

– საპრეზიდენტო არჩევნებში, ჩემი აზრით, გაიმარჯვებს ის, ვისაც ექნება ბიძინა ივანიშვილის მხარდაჭერა. დღეს საქართველოში ასეთი რეალობაა. ლიდერს და პიროვნებას ზოგადად ძალიან დიდი როლი აქვს ისტორიაში. ისტორიას, ხალხის გარდა, ლიდერები ქმნიან. პიროვნებებს პოლიტიკაში გადამწყვეტი როლი აქვთ. ბიძინა ივანიშვილმა მოიყვანა თანამდებობებზე უსუფაშვილიცა და მარგველაშვილიც. თუმცა, მათ ეს ვერ გააცნობიერეს და საკუთარ თავზე გადაჭარბებული წარმოდგენა შეექმნათ. უსუფაშვილს ეტყობა, რომ რაღაცას ნანობს.

– ნანობს იმას, რომ არ მიიღო ბიძინა ივანიშვილის შემოთავაზება?

– მას რომ ეს შემოთავაზება მიეღო, ახლაც პოლიტიკაში და თანამდებობაზე იქნებოდა. თავის დროზე ის არ გამოვიდა რესპუბლიკური პარტიიდან. სამაგიეროდ, პარტია დატოვა მაშინ, როცა ეს არ უნდა გაეკეთებინა. ჯეფერსონი აშშ-ის პრეზიდენტი რესპუბლიკური პარტიიდანაც იყო და დემოკრატიული პარტიიდანაც. ეს არავის გაკვირვებია. ამერიკაში სხვა სისტემაა. ჩვენ ვერ გამოვედით კომუნისტური ორთოდოქსული აზროვნებიდან.

„ნაცმოძრაობაში ფსიქიკური პრობლემებია“

– რამდენიმე მაჟორიტარი ამ პარლამენტიდან ტრაბახობს არჩევნებში მიღებული მაღალი პროცენტებით. ისინიც ხიბლში ჩაცვივდნენ?

– თუ ამ მაჟორიტარებს ჰგონიათ, რომ პარლამენტში თავისი დამსახურებით მოხვდნენ, ძალიან ცდებიან. ისინი მაჟორიტარები გახდნენ ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტის წყალობით. თუ ისინი მას გაემიჯნებიან, ცუდად დაამთავრებენ. თუ ისინი ხიბლში ჩაცვივდებიან, უსუფაშვილის ბედს გაიზიარებენ. ავად ამთავრებს ნაციონალური მოძრაობაც, რომლის მოქმედებები საკაშვილის ექსცენტრიკაზე იყო აგებული.

– მომდევნო არჩევნებში ნაციონალური მოძრაობა მეორე ადგილზე ვეღარ გავა?

– რასაკვირველია. საბოლოოდ, ნაციონალები მიიღებენ რესპუბლიკელების ოდენობის პროცენტებს. საკუთარი თავი გამოააშკარავა დავით ბაქრაძემაც. საზოგადოების შეცდომაა, რომ ის ლიდერებად აღიარებს ბაქრაძისნაირ ხელოვნურად შექმნილ პოლიტიკოსებს და მოხეტიალე ფორვარდებს.

– ნაცმოძრაობა ახსენეთ და ზოგს ჰგონია, რომ სენატორი ჯონ მაკეინი საქართველოში ნაცმოძრაობის გადასარჩენად იყო ჩამოსული..

– ეს ხუმრობას ჰგავს და არის პრიმიტიული და შეზღუდული აზროვნების გამოვლინება. ასეთი რამ ძალიან შორსაა რეალობისაგან. ენა ადამიანს იმიტომ კი არ აქვს, რომ ყველაფერი ილაპარაკოს, არამედ იმიტომ, რომ ყველაფერი არ თქვას.

– როგორ გგონიათ, ხომ არ შექმნის ბიძინა ივანიშვილი პარლამენტის გარეთ კიდევ ერთ პოლიტიკურ ძალას?

– პოლიტიკური ველი ცარიელია. თუ ვინმე სტიმულს მისცემს ახალი ძალის ფორმირებას, ცუდი არ იქნება. პოლიტიკა ცოცხალი ორგანიზმია და განვითარებას საჭიროებს. თავის დროზე, როცა ფოთის ქალაქის თავი გახდა, ოპონენტებს ეძებდა ნიკო ნიკოლაძე. მას კარგად ესმოდა, რომ ჯანსაღი აზრის გამომუშავებას სჭირდებოდა განხილვა და ოპონირება. ოპონირება ჯანსაღი უნდა იყოს და არა ისეთი, როგორსაც ნაცმოძრაობა ეწევა. ნაციონალები საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამას თავიდანვე ეწინააღმდეგებოდნენ. ახლა, როცა მთავრობაშიც გაჩნდა ამ პროგრამის კორექტირების იდეა, ამასაც გააფთრებით ებრძვიან. ესეც ადასტურებს, რომ ნაცმოძრაობაში ბევრს ფსიქიკური პრობლემები აქვს. ამ ხალხმა დაკარგა ძალაუფლება და არაადეკვატურად იქცევა. მთავარი ისაა, რომ ეს აშლილობა საშიშია საზოგადოებისთვის.

„მარგველაშვილმა ფიქრი საკუთარ პოლიტიკურ თამაშზე დაიწყო“

აზერბაიჯანულ გამოცემის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში მიმოხილულია საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საკონსტიტუციო კომისიის შექმნის თაობაზე, ნაჩვენებია კომისიის შემადგენლობა და მიზნები. გაკეთებულია შესაბამისი კომენტარიც „დამოუკიდებელი ექსპერტის“ მიერ.

– როგორც საქართველოს ხელისუფლებამ განაცხადა, პირველ რიგში კონსტიტუციაში ისეთი ცვლილების შეტანაა აუცილებელი, რომელიც უზრუნველყოფს ძალთა ბალანსს პრეზიდენტსა და მთავრობას შორის.

ცვლილება შეეხება საარჩევნო სისტემასაც. გარდა ამისა, დაგეგმილია ქორწინების რაობის დაზუსტებაც: კონსტიტუციაში პირდაპირ ჩაიწერება, რომ ქორწინებად მხოლოდ ქალისა და მამაკაცის ერთმანეთთან კავშირი ითვლება. ეს ცვლილება დასავლელი პოლიტიკოსებისათვის აშკარად არასასიამოვნო იქნება, – აღნიშნავს ავტორი.

პუბლიკაციაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი საკონსტიტუციო კომისიის წევრების ვინაობას და მათ პარტიულ კუთვნილებას (73 წევრი, მათ შორის დეპუტატები როგორც მმართველი პარტიიდან, ასევე ოპოზიციიდან, საზოგადოების წარმომადგენლები, ექსპერტები და ა.შ.). სტატიაში ვრცლადაა ციტირებული საქართველოს პარლამენტის სპიკერის ირაკლი კობახიძის გამოსვლა საკანონმდებლო ორგანოს სხდომაზე. ავტორი აღნიშნავს, რომ კომისიამ საკონსტიტუციო ცვლილებების საბოლოო პროექტი 30 აპრილამდე უნდა შეიმუშაოს, რომელიც შემდეგ პარლამენტს წარედგინება განსახილველად.

„უხერხული“ პრეზიდენტი

ცვლილებები ყველაზე მეტად პრეზიდენტის უფლებამოსილებას შეეხება. ირაკლი კობახიძე და მმართველი პარტია „ქართული ოცნება“ თვლიან, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტს ზედმეტი უფლებამოსილება აქვს. მათი აზრით, უნდა შეიცვალოს პრეზიდენტის არჩევის წესიც: ირაკლი კობახიძემ განმარტა, რომ პრეზიდენტი შეიძლება დემოკრატიულად იყოს არჩეული როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი გზითაც. მაგრამ არის რაღაც ისეთი საკონსტიტუციო რეფორმაში, რომლის შესახებაც ქართული მასმედია რატომღაც დუმს. სწორედ ამის შესახებ ესაუბრება გაზეთ „კასპიის“ კორესპონდენტს დამოუკიდებელი თბილისელი ექსპერტი გელა ვასაძე:

– რა თქმა უნდა, საკონსტიტუციო რეფორმის გატარება ასეთი საჩქარო არაა. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი აზრით, საქართველოში სუფთა საპარლამენტო სისტემის არსებობა უფრო ლოგიკურია, ვიდრე შერეული საპარლამენტო-საპრეზიდენტო სისტემისა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს გადაწყვეტილება აშკარად კერძო პოლიტიკურ ხასიათს ატარებს. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, ეს მიანიშნებს ბიძინა ივანიშვილის პირად შურისძიებაზე, რომელიც მიმართულია მოქმედი პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის წინააღმდეგ. ივანიშვილისთვის მარგველაშვილი „უმადური და უხერხული“ პრეზიდენტია.

სხვათა შორის, „უმადურობის“ შესახებ ვიტყვი, რომ, რა თქმა უნდა, ბიძინა ივანიშვილის მხარდაჭერის გარეშე გიორგი მარგველაშვილი პრეზიდენტი ვერ გახდებოდა, მაგრამ მეორე მხრივ ის ფაქტი, რომ მოქმედი პრეზიდენტი, სახელმწიფოს მეთაური მხოლოდ „ლამპრის მონა“ არ აღმოჩნდა („ლამპრის მონაში“ იგულისხმება ზღაპრის გმირი ჯინი, სხვისი ბრძანებების შემსრულებელი – მთარგმნ. შენიშვნა), ეს ფაქტი პატივს იმსახურებს. ამას მოსახლეობაც ხედავს და აფასებს.

გიორგი მარგველაშვილმა ფიქრი საკუთარ პოლიტიკურ თამაშზე დაიწყო, ასეთ მოქმედებას კი ბიძინა ივანიშვილი არავის პატიობს. აი, ამაში გამოიხატება ეს საკონსტიტუციო რეფორმაც.

ნიუსპრესი

შალვა ნათელაშვილი: „ოცნებამ“ ბანკ „ქართუს“ ვალი სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადაიხადა“

ლეიბორისტული პარტიის ლიდერი ბიძინა ივანიშვილს და ხელისუფლებას მორიგ ბრალდებას უყენებს და აცხადებს, რომ 1 მილიონის ოდენობის კრედიტი, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ ბანკი „ქართუდან“ აიღო, უკან დააბრუნა და ეს თანხა ბიუჯეტიდან გამოყო.

– საახალწლოდ მოხდა მსოფლიო პოლიტიკის ისტორიაში უპრეცედენტო მოვლენა. საქართველოს მმართველმა მილიარდელმა საკუთარი ბანკიდან საკუთარ პარტიაზე გასესხებული მილიონი უკან დაიბრუნა, ხალხის და ბიუჯეტის ხარჯზე. მე წინადადებას ვაძლევ ივანიშვილს – დაუბრუნე ხალხს და ბიუჯეტს ეს მილიონი, ხოლო საკუთარი პარტია დააფინანსე შენი მილიარდებიდან, – აცხადებს შალვა ნათელაშვილი.

პარტია „ქართულმა ოცნებამ“ ბანკ „ქართუდან“ წინასაარჩევნო კამპანიის ხარჯებისთვის მილიონი ლარის ოდენობის სესხი სექტემბერში აიღო და დეკემბერში დაფარა.

პირველი რადიო

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ძ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

მამუკა არეშიძე: „მარგველაშვილს პოლიტიკური ინტრიგის გამოცდილება არ აქვს“

ნონა ცაბაძე

ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ განვლილ 2016 წელს ბევრი მნიშვნელოვანი რამ მოხდა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, რომ 2016 წელი იყო საარჩევნო წელი და ეს წელი ამ ნიშას ატარებდა მთლიანად და ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

მე ვერ ვხედავ პრეზიდენტის მიერ შექმნილი ძალის განსაკუთრებულ პერსპექტივას. თუ ეს იქნება უსუფაშვილთან ერთად, კიდევ შეიძლება რაღაცა წარმატებაზე ფიქრი, მაგრამ თავად პრეზიდენტი თუ შექმნის პოლიტიკურ ძალას, მართალი გითხრათ, მაინცდამაინც დიდ პერსპექტივას ამ ძალისას ვერ ვხედავ.

– რა თვალსაზრისით იყო 2016 წელი საინტერესო?

– იმ თვალსაზრისით, რომ ეს იყო ძალიან პრინციპული ბრძოლა ორ პარტიას შორის გამარჯვებისათვის. ეს ბრძოლა არჩევნების წინა დღეებში არ დაწყებულა, მთელი წლის განმავლობაში ეს ბრძოლა სხვადასხვა დონეზე, სხვადასხვა ფორმით იგრძნობოდა სულ. რა თქმა უნდა, ცუდია, როდესაც ქვეყანა მხოლოდ ამაზე რომ არის კონცენტრირებული, არჩევნებში ვინ გაიმარჯვებს, მაგრამ ასე იყო ჩვენ შემთხვევაში. შესაძლოა ვინმემ მითხრას, სხვა რამეც ხდებოდაო, მაგრამ სამწუხაროდ, არჩევნების ფაქტორით ეს ყველაფერი გადაიფარა. არჩევნებით იმდენად არა, როგორც ამ ორი პოლიტიკური ძალის დაპირისპირებით.

– საუბრობდნენ იმაზეც, რომ ეს დაპირისპირებაც ხელოვნური იყო და რომ მავანს სჭირდებოდა.

– თუ გავიხსენებთ, სულ გვესმოდა განცხადებები, რომ აი მიშა დღეს ჩამოვა, მიშა ხვალ ჩამოვა, აპირებენ არეულობის მოწყობას, ემზადებიან არეულობისთვის და ასე შემდეგ. ნაციონალური მოძრაობის ყოფილმა ლიდერებმა მიაბეს საქართველო უკრაინაში მიმდინარე პროცესებს არა მხოლოდ ისტორიის ერთობლიობით, არამედ იმით, რომ ერთი და იგივე უბედურება გვჭირს. უკრაინაში იმყოფებოდა არა ერთი ქართველი, რომელიც გარკვეული ნაბიჯების გადადგმას აპირებდა საარჩევნოდ და ძირითადი თემები მთელი წლის განმავლობაში იყო ეს.

– დღეს ნაცმოძრაობაში არცთუ სახარბიელო მდგომარეობაა, გახლეჩის პირასაა პარტიაო.

– სხვათა შორის, არჩევნების წინ უკვე გაიხლიჩა პარტია და ორი ძალა გამოეყო, გირჩი და ვაშაძე. მიუხედავად იმისა, რომ მონოლითური პარტიის შთაბეჭდილებას ტოვებდა ნაციონალური მოძრაობა, ეს მაინც მოხდა.

– ეს გარედან ჩარევის შედეგად მოხდა?

– მე დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ ეს არ იყო მხოლოდ გარედან ჩარევის შედეგი. თვითონაც გარკვეული ამბიციები ჰქონდათ და სწორედ ამ ამბიციებმა უბიძგეს, რომ ეს ნაბიჯი გადაედგათ. ეს პროცესი გრძელდება დღესაც და, როგორც ჩანს, 20 იანვრის შემდეგ კიდევ უფრო გაღრმავდება.

– საუბარია, რომ 2017 წლის მთავარი თემა საკონსტიტუციო ცვლილებები და პრეზიდენტის არჩევის წესი იქნებაო. პრეზიდენტის ირგვლივ უკვე ათასნაირი ხმა დაიარება, რომ ახალ ალიანსს ქმნის, ოპოზიციონერ ლიდერად მოგვევლინება და ასე შემდეგ. როგორია თქვენი ხედვები ამ თემაზე?

– სიმართლე გითხრათ, მე ვერ ვხედავ პრეზიდენტის მიერ შექმნილი ძალის განსაკუთრებულ პერსპექტივას. თუ ეს იქნება უსუფაშვილთან ერთად, კიდევ შეიძლება რაღაცა წარმატებაზე ფიქრი, მაგრამ თავად პრეზიდენტი თუ შექმნის პოლიტიკურ ძალას, მართალი გითხრათ, მაინცდამაინც დიდ პერსპექტივას ამ ძალისას ვერ ვხედავ.

– საუბარია, რომ უსუფაშვილის განცხადების შემდეგ გაჟარწყლდა ის მოლოდინი, რომ უსუფაშვილი და მარგველაშვილი ერთობლივ ალიანსს შექმნიდნენ. ითქვა ისიც, რომ უსუფაშვილი ხელისუფლებასთან ალიანსში უფრო მოიაზრება, ვიდრე მარგველაშვილთანო ასეა?

– ჯერჯერობით, უსუფაშვილი სიტუაციის ზონდირებას აკეთებს. საზოგადოებას და ამომრჩეველს უტოვებს ვარაუდების გამოთქმის საშუალებას. ის ამ ვარაუდების საფუძველზე აკეთებს ანალიზს და შემდეგ გამოაქვს დასკვნები. უსუფაშვილი ერთ-ერთი გონიერი პოლიტიკოსია საქართველოში და მეტსაც ვიტყოდი, ძალიან სერიოზული პერსპექტივით, იმ შემთხვევაში, თუ მან თავის თავში გამონახა დამატებითი რესურსი. მოცემულობა და ბიოგრაფია ამას კარნახობს, მაგრამ კიდევ დამატებითი რესურსია საჭირო. მან შეცდომა არ უნდა დაუშვას პარტნიორის შერჩევის თვალსაზრისით, ან პარტნიორების.

– გამორიცხავთ, რომ ის ივანიშვილმა გამოიყენოს სათავისოდ?

– პოლიტიკაში ასეთი რამ ხდება. სათავისოდ გამოიყენებს, მაგრამ შესაძლოა უსუფაშვილმაც გამოიყენოს სიტუაცია სათავისოდ.

– როგორ?

– შევხედოთ წარსულს, პრაქტიკულად ნაციონალურმა მოძრაობამ ივანიშვილის მიდგომები გამოიყენა სათავისოდ. ვგულისხმობ იმ მიდგომებს, როდესაც ივანიშვილის პრემიერად ყოფნის პერიოდში, არ ცდილობდა, რომ რეპრესიული გზით წასულიყო. მე მახსოვს პირველი დღეები 2012 წლის არჩევნების შემდეგ, როგორ პანიკაში იყო ჩავარდნილი ნაციონალური მოძრაობის აქტივი. მაგრამ რომ დაინახეს, განსაკუთრებული რებრენდინგი არ ემუქრებოდათ, მერე დაიწყეს ყელყელაობა. ეს იყო სწორედ მაშინდელი პრემიერის მიდგომის შედეგი. პოლიტიკაში ასეთი რამ აბსოლუტურად რეალურია, ერთი გუნდი იყენებს მეორე გუნდის შეცდომებს.

– რას ელოდებით ოპოზიციურ ფლანგზე? კეთდება შეფასებები, რომ დღეს ოპოზიციას არა აქვს იმის რესურსი, რომ მოძლიერდეს, რომ პოლიტიკური ველი მთლიანად პარალიზებულია და ფული მხოლოდ ორ ძალას აქვს – ივანიშვილს და ნაცმოძრაობას. ასეა?

– ნუ ვიტყვით ასე. დღეს საფრანგეთში მიმდინარე პროცესში ჩაბმული საფრანგეთის ნაციონალური ფრონტი და მისი კანდიდატი ზუსტად ამას ამბობს, რომ მას აკლდება 8 მილიონი დოლარი იმისთვის, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში სრულყოფილად მიიღოს მონაწილეობა. მაგრამ ლე პენი პოლიტიკური ფიგურაა და მიუხედავად ყველაფრისა, როცა 8 მილიონ დოლარზე ლაპარაკობს, ის ლაპარაკობს გამარჯვებაზე, თორემ წარმატებას ყოველთვის მიაღწევს. აქაც იგივე სიტუაციაა. ნუ ვიტყვით, რომ მაინცდამაინც ველი დაკავებულია ორი პარტიის მიერ. ჯერ ერთი, არსებობს პატრიოტთა ალიანსიც, მეორეც, ნამდვილად არის რესურსი იმისა, რომ შეიქმნას ძლიერი პოლიტიკური ძალა, რომელსაც ექნება იმის ფინანსური რესურსი, რომ წარმატებისთვის იბრძოლოს, გამარჯვებისთვის თუ არა.

– ფიქრობთ, რომ დავით უსუფაშვილი გააქტიურდება?

– დარწმუნებული ვარ ამაში, რომ უსუფაშვილი გააქტიურდება. პრინციპში, პროდასავლურ ოპოზიციურ ველზე, სხვა ძალას მე ვერც ვხედავ.

– მარგველაშვილი რამდენად იქნება ამ მხრივ აქტიური?

– მარგველაშვილი საკმაოდ აქტიურია, ცდილობს, რომ საინტერესო ნაბიჯები გადადგას, ოღონდ მარგველაშვილს უშლის ხელს ზოგიერთი თვისება მისი ხასიათისა. ასევე ისიც, რომ მას არა აქვს პოლიტიკური ინტრიგის და პოლიტიკური ბრძოლის დიდი გამოცდილება. მსოფლმხედველური თვალსაზრისით, მარგველაშვილისთვის ნაციონალური მოძრაობის ზოგიერთი ლიდერის პოზიცია უფრო ახლოა მასთან, ვიდრე „ქართული ოცნების“, თუმცა ის არის ნაციონალური მოძრაობის მოწინააღმდეგე. ადამიანის ფსიქიკის შუაზე გახლეჩის მაგალითი გვაქვს.

– თქვენ როგორ გაიგეთ უსუფაშვილის განცხადება? თუკი მართლაც მოსალოდნელი იყო მათი ტანდემი, მაშინ მარგველაშვილის გეგმები რატომ გაამხილა ასე საჯაროდ? რომ მარგველაშვილი გადადგება ვადაზე ადრე და ხელმეორედ იყრის კენჭს?

– მე არ ვთვლი, რომ ეს გეგმების გამხელა იყო.

– აბა რა იყო?

– ეს იყო ვარიანტის შეთავაზება, შემოწმება, ვინ როგორ მოიქცეოდა ამ სიტუაციაში. ეს რეცეპტი იყო უბრალოდ, რომელიც გააჟღერა უსუფაშვილმა.

– რისი რეცეპტი?

– თუ როგორ უნდა მოქცეულიყო პრეზიდენტი, თუ უნდოდა შეენარჩუნებინა თავისი მდგომარეობა. უსუფაშვილმა პრეზიდენტს სახალხოდ შესთავაზა ვარიანტი, რომ მისთვის ასე აჯობებდა. უსუფაშვილმა ტესტირება მოახდინა, როგორ მოიქცეოდა ამ სიტუაციაში პრეზიდენტი. მე დარწმუნებული ვარ, რომ მარგველაშვილმა იცოდა უსუფაშვილის ასეთი იდეის თაობაზე და მისთვის მთლად სასიამოვნო არ იქნებოდა ამ იდეის გაჟღერება, მაგრამ უსუფაშვილმა, როგორც სერიოზულმა პოლიტიკოსმა, არჩია, რომ ფრჩხილები გაეხსნა.

– ელოდებით პრეზიდენტისგან ამ ვარიანტის გათამაშებას?

– ვერ გეტყვით. ძალიან რთულია მოსთხოვო ადამიანს, რომ ის გადადგეს. თან ისე გადადგეს, რომ დაკარგოს სადავეები. ასევე წავიდეს რისკზე. მარგველაშვილს რა გარანტია აქვს იმის, რომ მას ისევ აირჩევენ?! არავითარი გარანტია ამისი არ არსებობს! ანუ ჩვენ რას ვამბობთ, რომ მარგველაშვილი უნდა გადადგეს, დანიშნოს ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები და პრაქტიკულად დაკარგოს ყველაფერი? იქნებ მას ურჩევნია, რომ გაიხანგრძლივოს საპრეზიდენტო მდგომარეობა?! ამიტომ ეს თემა რთული საპროგნოზოა.

– სიურპრიზებს თუ ელით ამ წელში?

– ქართულ პოლიტიკას ახასიათებს სიურპრიზები, ამიტომ არ გამიკვირდება რაღაც საინტერესო ეპიზოდები გამოჩნდეს. ერთსაც ვიტყოდი, პოლიტიკური ძალების გამოჩენის თვალსაზრისით, რესურსი შეზღუდულია. ერთადერთი უსუფაშვილის პოლიტიკური ძალის გამოჩენას ველი, თანაც ომახიანად. დანარჩენებს ჯერჯერობით ვერ ვხედავ.

აჭარაში ვირუსის გავრცელების მაჩვენებელი პიკს აღწევს

ვირუსის სიმპტომების მქონე მოქალაქეების მიერ აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისადმი მიმართვიანობა გაზრდილია.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ნიჟარაძემ განუცხადა, რეგიონში ვირუსის გავრცელების მაჩვენებელი პიკს აღწევს, მეორე პიკის პროცესი კი, სავარაუდოდ, თებერვალში დაფიქსირდება.

– გაზრდილია მომართვიანობა, მათ შორის გრიპისმაგვარი დაავადებების ჩივილებით, მაგრამ გრიპის სეზონისათვის სიტუაცია სტაბილურია.

100.000 მოსახლეზე 400-მდე გამოძახება ფიქსირდება, რითაც მაჩვენებელი გაზრდილია, თუმცა არ არის საგანგაშო სიტუაცია. შესაძლოა, შემთხვევები გარკვეულ დონეზე შენარჩუნდეს და

რაღაც პერიოდის შემდეგ კლება დაიწყოს. მე ვფიქრობ, რომ აჭარაში პიკი ახლა გვაქვს, – განაცხადა ნინო ნიჟარაძემ.

ინტერპრესნიუსი

შსს – მართვის მოწმობის 100-ქულიანი სისტემა არ ამოქმედებულა

მართვის მოწმობის 100-ქულიანი სისტემის ამოქმედების შესახებ ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, კანონპროექტი „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“, განსახილველად პარლამენტშია შეტანილი და საპარლამენტო განხილვები საგაზაფხულო სესიაზე განახლდება.

აღნიშნული საკანონმდებლო პაკეტი მთავრობამ პარლამენტს ჯერ კიდევ 2015 წელს წარუდგინა. განხილვის პროცესი კომიტეტებში გაიმართა. შედგა რამდენიმე სამუშაო შეხვდა, თუმცა მთელ რიგ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობის გამო პროცესი წინ აღარ წასულა.

რამდენიმე მედიასაშუალებამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ მართვის მოწმობის 100-ქულიანი სისტემა 1-ელი იანვრიდან ამოქმედდა.

კანონპროექტის თანახმად, მართვის მოწმობას 100 ქულა ენიჭება, ხოლო თითოეული ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ამ 100 ქულიდან სამართალდარღვევის ტოლფასი ქულის გამოკლებას გამოიწვევს. დამრღვევ მძღოლებს მართვის მოწმობისთვის მინიჭებული ქულების რაოდენობა შეუმცირდებათ.

ერთი წლის განმავლობაში, 100 ქულის ნულამდე შემცირების შემთხვევაში, მძღოლს მართვის მოწმობა ჩამოერთმევა და გამოცდის ხელახლა ჩაბარება მოუწევს.

კახეთის საინფორმაციო ცენტრი

ავტომობილებზე ქონების გადასახადის გადახდა 2018 წლიდან დაიწყება

1-ელი იანვრიდან ძალაში შევიდა საგადასახადო კოდექსში დაგეგმილი ცვლილება, რომლის თანახმადაც ავტომობილებზე ქონების გადასახადი დაწესდა.

ცვლილება 40 ათას ლარზე მეტი წლიური შემოსავლის მქონე ოჯახებს შეეხება.

როგორც „ბიზნესპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროში უთხრეს, ავტომობილებზე ქონების გადასახადის გადახდა შესაბამის პირებს 2018 წლიდან მოუწევთ.

– 2017 წლის შემოსავლების მიხედვით ქონების დეკლარირება 2018 წლის 1 ნოემბრამდე მოხდება. შესაბამისად, 40 ათას ლარზე მეტი წლიური შემოსავლის მქონე ოჯახებს ავტომობილებზე ქონების გადასახადის გადახდა სწორედ 2018 წლიდან მოუწევთ, – აღნიშნეს სამინისტროში.

კერძოდ, 40 ათასიდან 100 ათას ლარამდე შემოსავლის შემთხვევაში ავტომობილის ღირებულების 0.2%, ხოლო 100 ათას ლარზე მეტი შემოსავლის დროს კი ავტომობილის ღირებულების 0.8% იქნება გადასახდელი.

ინტერპრესნიუსი

კორცხელში 70 წლამდე ასაკის მამაკაცის ცხედარი იპოვეს

კორცხელში 70 წლამდე ასაკის მამაკაცის ცხედარი იპოვეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, პირველადი ინფორმაციით, მამაკაცს ძალადობის კვალი არ აღენიშნება.

მათი ცნობით, მიმდინარეობს გამოძიება „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის“ 115-ე მუხლით, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

ინტერპრესნიუსი

„პანკისი სირია არ გახდება“

რა მოხდა 3 იანვარს დუისში

შორენა მარსაგიშვილი

პანკისის ხეობაში ვითარება ისევ დაიძაბა. 3 იანვარს უცნობმა პირებმა ახმეტის რაიონის სოფელ დუისის კულტურის სახლს ცეცხლი წაუკიდეს. დარაჯმა ხანძარი დროზე შენიშნა და მისი ჩქარობა მალევე მოხერხდა. ხანძრის შედეგად დაიწვა ერთ-ერთი ოთახის კარი და იატაკის ნაწილი.

მომხდართან დაკავშირებით ახმეტის პოლიციამ უკვე დაიწყო გამოძიება. გავრცელებული ინფორმაციით, ხანძრის უკან ვაჰაბიტები დგანან, რომლებიც კულტურის სახლის საქმიანობით უკმაყოფილოები იყვნენ.

ყველაზე მეტი პრეტენზია მათ არასამთავრობო ორგანიზაცია კახეთის რეგიონული განვითარების ფონდის მიმართ აქვთ. ამ ფონდის ოფისი სწორედ კულტურის სახლის შენობაში იყო განთავსებული.

– ეს ფაქტი არის ძალიან შემაშფოთებელი და მცდელობა იმისა, რომ პანკისში კვლავ დაბრუნდეს სიბნელე. ამ ფონდმა ძალიან ბევრი კარგი საქმე გააკეთა. ახალგაზრდები იმ სიბნელიდან გამოიყვანა, რასაც ამდენი წელია ვებრძვით. რამდენადაც მე ვიცი, ხანძრამდე რამდენიმე ხნით ადრე, ფონდის ხელმძღვანელი იზა ბექაური რამდენჯერმე გააფრთხილეს. მას ფეისბუქის მეშვეობით ემუქრებოდნენ და ხეობის დატოვებას სთხოვდნენ, – აცხადებს „ახალ თაობასთან“ საუბარში პანკისის ხეობის მკვიდრი მექა ხანგოშვილი.

ის სამართალდამცავებს მოუწოდებს, რაც შეიძლება მალე გამოიძინონ მომხდარი და დამნაშავეები კანონის სრული სიმკაცრით დასაჯონ. მისი აზრით, მომხდარში თავად პოლიციაც არის დამნაშავე.

– პოლიციის უნიათობა რომ არა, მსგავსი რამე არ მოხდებოდა. მთელი ეს წლები იმაზე ვჩხუბობ, რომ პოლიცია საკმარისად არ მუშაობს. იმის მაგივრად, რომ დამნაშავეები დასაჯონ, ქისტ ახალგაზრდებს უქმნიან პრობლემებს. სამაგიეროდ, იმათ არ სცემენ ხმას, რომლებიც ახალგაზრდებს ბნელი იდეებით უტენიან თავებს, – აღნიშნავს ხანგოშვილი.

მისი აზრით, მომხდარში მედიაც დამნაშავეა. ამბობს, რომ ჟურნალისტები მხოლოდ ცუდი თემებით ინტერესდებიან.

– 3 იანვარს მომხდარი ინციდენტი ყველა ტელევიზიამ გააშუქა. ყველა მედიასაშუალება ხეობაშია მობილიზებული. სამაგიეროდ, 3 კვირის წინ პანკისში ვერც ერთი ჟურნალისტი ვერ ჩამოვიყვანე. არადა ძალიან საინტერესო ღონისძიებები ჩავატარეთ. მოეწყო პოეტ ტარიელ ხარხელაურის საღამო. უნდა გენახათ, პატარა ქისტებმა მისი რამდენი ლექსი იცოდნენ ზეპირად. იქ კიდევ ბევრი კარგი ღონისძიება ტარდება, მაგრამ ამის გაშუქება არ ხდება, არადა ასეთი საღამოებით და ღონისძიებებით მტკიცდება, რომ პანკისი ამ ქვეყნის განუყოფელი ნაწილია, – ამბობს ხეობის მკვიდრი.

მისი თქმით, 3 იანვრის ინციდენტს პანკისელების დიდი ნაწილი უარყოფითად აფასებს. ხანგოშვილი დარწმუნებულია, რომ კულტურის სახლი მომავალშიც გააგრძელებს მუშაობას. მას სჯერა, რომ ხეობიდან არც კახეთის რეგიონული განვითარების ფონდი წავა.

– ამდენი ბრძოლის შემდეგ, ძლივს რაღაც ნათელი გამოჩნდა ხეობაში. ამას არ დავთმობთ და ხეობა სიბნელეში არ დაბრუნდება, – აცხადებს ჩვენთან საუბარში მექა ხანგოშვილი.

ხეობიდან წასვლას არც არასამთავრობო ორგანიზაცია კახეთის რეგიონული განვითარების ფონდი აპირებს. მისი ხელმძღვანელი იზა ბექაური ამბობს, რომ ის საქმიანობას ჩვეულებრივად გააგრძელებს. მას იმედი აქვს, რომ მომხდარს პოლიცია დროულად გამოიძიებს. მისი ვარაუდით, ეს ხანძარი ერთგვარი გაფრთხილება იყო.

როგორც იზა ბექაური ჟურნალისტებთან საუბარში ამბობს, ხანძრის გაჩენამდე რამდენიმე ხნით ადრე, მან მუქარის შემცველი შეტყობინებები მიიღო.

– იყო მუქარები, რომ „გაეთრიეთ პანკისიდან“, „თქვენი საქმიანობა ჩვენთვის მიუღებელია“ და ა.შ. მე ვფიქრობ, რომ კლუბში ხანძრის გაჩენა და გადაწვის მცდელობა, ერთ-ერთი გაფრთხილება იყო ჩემთვის, – აცხადებს იზა ბექაური.

ის გამორიცხავს, რომ კულტურის სახლში ხანძარი შემთხვევით გაჩნდა. მისი თქმით, შენობაში რამდენიმე ადგილას არის „სალიარკა“ დასხმული.

– საღამოს ალბათ 7 საათი იქნებოდა დაწყებული, როცა დამირეკეს და მითხრეს, რომ კლუბში ცეცხლი იყო გაჩენილი. მაშინვე დავურეკე ჩვენს თანამშრომელს, იურისტს, რომელიც პანკისში ცხოვრობს და ვუთხარი, რომ ადგილზე მისულიყო და პოლიციაშიც დაერეკა. როცა ადგილზე მოვედი, მოსახლეობა ეზოში იყო შეკრებილი, პოლიციაც აქ იყო უკვე. შენობაში მოგვიანებით შემოშვეს და ვნახე, რომ კომპიუტერების ოთახის კარი არის დამწვარი. აივანზე, იატაკზე დასხმულია, როგორც მითხრეს, „სალიარკა“, ასევე ფანჯარაა შეხსნილი, შიგნით არის კორიდორში გადასული, ორი ოთახის კარი ყოფილა ღია და იქაც არის შესხმული „სალიარკა“. ჩვენ გვყავს ღამის დარაჯი. როცა მოსულა კლუბში, ცეცხლი ახალი გაჩენილი ყოფილა და ჩაქრობა მოახერხა, – განაცხადა იზა ბექაურმა პანკისის სათემო რადიოსთან საუბარში.

სამართალდამცავებმა იზა ბექაური უკვე დაკითხეს. მან პოლიციას იმ მუქარებზეც უამბო, რომელიც მისი მისამართით გასული წლის ნოემბრიდან დაიწყო.

– ბოლო პერიოდში, ნოემბრის მიწურულს, მე მქონდა რაღაც უსიამოვნებები ფეისბუქის საშუალებით. კონკრეტულად ვინ იყვნენ ეს ადამიანები, ნამდვილად არ ვიცი. ქალთა ძალადობის წინააღმდეგ აქციას შეუერთდა ჩვენი ორგანიზაცია და ამას მოჰყვა ხალხის ნაწილის გაღიზიანება. ფეისბუქით იყო მუქარები. იმის მერე ჩვენ შევხვდით მაგათ ლიდერებს და მეგონა, რომ ყველაფერი დაწყნარდა, მაგრამ... – აღნიშნავს იზა ბექაური.

კახეთის რეგიონული განვითარების ფონდის ხელმძღვანელმა პანკისის სათემო რადიოსთან რამდენიმე თვის წინ მომხდარი ფაქტიც გაიხსენა.

– პრეზიდენტის ფონდმა დაგვიფინანსა

იმამი ბექსან ფარეულიძე:

„ეს სწორედ ისლამის და მუსლიმი ხალხის დისკრედიტაციის სურვილით ჩადენილი ქმედებაა“

ცეკვის სასწავლო კურსი და მაშინაც, როცა პირველად დავიწყეთ მეცადინეობა, მოგვივარდნენ და გვეჩხუბნენ, რომ ნუ უკრავთ და ნუ გამოდის თქვენი შენობიდან მუსიკის ხმა. არც მაშინ არ მიგვიმართავს პოლიციისთვის, რადგან ვფიქრობდით, რომ ყველაფერი დანწყარდებოდა. ახლა ვითხოვ, რომ გამოიძიონ, ვინ გააჩინა კლუბში ხანძარი, – ამბობს კახეთის რეგიონული განვითარების ფონდის ხელმძღვანელი.

◆ ◆ ◆

3 იანვარს მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს პანკისის ხეობის ფუნდამენტური ისლამის თემის იმამი ბექსან ფარეულიძე. იმამის განცხადებით, მომხდარის შედეგად ყველაზე მეტად ხეობაში მცხოვრები მუსლიმები დაზარალდნენ, რადგან გრძელდება მათი მიზანმიმართული დისკრედიტაცია.

– სოფელ დუისში მომხდარმა ფაქტმა მხოლოდ კახეთის რეგიონალური განვითარების ფონდს კი არა, საერთოდ პანკისის ხეობის მცხოვრებლებს, მათ სახელს მიაყენა ზიანი.

ჩვენ წლების განმავლობაში ვმუშაობდით იმისთვის, რომ პანკისის ხეობაში დანაშაული და კრიმინალი აღკვეთილიყო, ამ მიმართულებით თვალსაჩინო შედეგსაც მივაღწიეთ, მაგრამ 3 იანვარს განვითარებული მოვლენის შემდეგ, ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე, პანკისელი მუსლიმების ეჭვმიტანილებად და სავარაუდო დამნაშავეებად გამოცხადება გვიჩენს კითხვებს და გვიტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ეს სწორედ ისლამის და მუსლიმი ხალხის დისკრედიტაციის სურვილით ჩადენილი ქმედებაა.

მომხდარი ფაქტის შედეგად თუ ვინმე აღმოჩნდა წაგებული, ეს არც საზოგადოებრივი ცენტრია, რომელიც საბედნიეროდ არ დამწვარა და არც კახეთის რეგიონალური განვითარების ფონდი, რადგან თუ მეტი მხარდამჭერი და გულშემატკივარი არ გაუჩნდა, საბედნიეროდ ზარალი არ მიუღია ამ ორგანიზაციას.

არც რეალური დამნაშავეა დაზარალებული, რომლის ვინაობაც ჯერ არ გამჟღავნებულა, თუმცა მოახერხეს და ჩირქი მოსცხეს ხეობის მუსლიმებს, გრძელდება მუსლიმების მიზანმიმართული დისკრედიტაცია, – ვკითხულობთ ბექსან ფარეულიძის განცხადებაში.

ინციდენტით შეშფოთებული იმამი იზა ბექაურის ბრალდებებსაც ეხმაურება. ამბობს, რომ ცეკვის ანსამბლის მიმართ პრეტენზიები არავის ჰქონია და უთანხმოება სხვა საკითხის გამო დაიწყო.

მისი განცხადებით, ეს დაპირისპირება სოციალური ქსელით წარიმართა და მას ძალიან ბევრი ადამიანი ადევნებდა თვალყურს.

– ეს მოვლენებიც ჩვენ თვალწინ, ფეისბუქის გვერდზე განვითარდა, ყველა ჩვენგანს ჰქონდა საშუალება თვალი ედევნებინა იმ დიალოგისთვის, რომელიც არა ცეკვა-სიმღერის გამო, არამედ იზა ბექაურის და კიდევ რამდენიმე ხეობაში მომუშავე ორგანიზაციის მიერ გაკეთებულ განცხადებას მოჰყვა, რომლებიც საუბრობდნენ პანკისის ხეობის მოსახლეობისთვის დანიშნული სოციალური დახმარების არამიზნობრიობაზე, აღნიშნული ფაქტის დამახინჯებულად წარმოჩენის მცდელობაც გარკვეულ ეჭვებს ბადებს ჩვენში, – ამბობს იმამი.

ბექსან ფარეულიძის თქმით, ხეობაში ქალთა უფლებები არ ირღვევა. ის ყველას სთხოვს, რომ ადამიანებს უსაფუძვლოდ არავინ დასდოს ბრალი.

– რაც შეეხება ქალთა უფლებებს, ისლამი და პანკისელი მუსლიმები დგანან ქალთა უფლებების და ქალთა კეთილდღეობის სადარაჯოზე, ჩვენთვის აბსოლუტურად მიუღებელია ტელევიზიით გაჟღერებული განცხადებები, თითქოს მუსლიმებს ქალთა უფლებების საკითხი გვაღიზიანებს. ამის ნათელი მაგალითი იყო ჩვენი სულიერი ლიდერის, აბდულ-ქერიმ ქავთარაშვილის მიერ ჩატარებული ლექცია ქალთა უფლებების საკითხზე. ეს სწორედ ამ საზოგადოებრივ ცენტრში ჩატარდა. ჩვენ კი არ გვაღიზიანებს ეს თემა, პირიქით, ფონდის მიერ სურვილის გამოხატვის შემთხვევაში ვთანამშრომლობთ კიდეც ამ საკითხებში.

მართალია, ისლამის სწავლების მიხედვით ცეკვა და სიმღერა არ არის მიღებული, თუმცა ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ ვამართლებთ მსგავს რადიკალურ ქმედებებს, არც გაგვიმართლებია.

ბოლოს, ყველას გვინდა მოვუწოდოთ, გამოიჩინონ მეტი პასუხისმგებლობა საკუთარი განცხადებების მიმართ და მოეშვან ყოველგვარი მტკიცებულებების და ფაქტების გარეშე ადამიანების და უფრო მეტიც, ადამიანთა ჯგუფის დადანაშაულებას. ეს არ მოუტანს არაფერს კარგს არც თითოეულ ჩვენგანს და არც ზოგადად პანკისის ხეობას, – აღნიშნავს იმამი ბექსან ფარეულიძე.

◆ ◆ ◆

მექა ხანგოშვილს არავის დადანაშაულების სურვილი არა აქვს, მაგრამ ეჭვობს, რომ ვიღაცას ხეობის სიბნელეში დაბრუნება უნდა. მას იმედი აქვს, რომ ხელისუფლების დახმარებით ეს აღარ მოხდება.

– ვიღაცას შეიძლება უნდა, რომ პანკისი გახდეს სირია, ეს აღარ გამოვა. ამის წინააღმდეგ ბევრი ვიბრძოლეთ და, როგორც იქნა, მიზანს მივაღწიეთ. სულ ვამბობდი, რომ არსებულ პრობლემებთან გამკლავება მხოლოდ განათლების დონის ამაღლებით შეიძლებოდა. განათლების სამინისტრო პანკისელ ახალგაზრდებს სწავლის საფასურის გადახდაში ეხმარება. ეს გადაწყვეტილება ყოფილმა მინისტრმა თამარ სანიკიძემ მიიღო. ამ ფაქტმა რადიკალურად შეცვალა სიტუაცია. ბოლო ხანებში პანკისიდან სირიაში არც ერთი ახალგაზრდა არ წასულა. პანკისში სინათლე შემოვიდა და სიბნელეში აღარ დავბრუნდებით, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში მექა ხანგოშვილმა.

„საზოგადოებრივი მაუწყებლის ბორდი ნამდვილი პოლიტბიუროა“

საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის კონკურსში მონაწილე ნიკოლოზ მჭედლიშვილის განცხადებით, საზოგადოებრივ მაუწყებელს ცვლილებები არ უნდა.

ამის შესახებ მჭედლიშვილმა Facebook-ში პირად გვერდზე მას შემდეგ დაწერა, რაც იგი კონკურსის მეორე ტურში არ იქნა გადაყვანილი.

„საზმაუს“ ბორდმა მეორე ტურში არ გადამიყვანა. როგორც ჩანს, ცვლილებები არ უნდათ; გარდაიცვალნენ ბრეჟნევი და ანდროპოვი, ახლა დანიშნავენ ჩერნენკოს. ბორდი კი ნამდვილი „პოლიტბიუროა“, – წერს მჭედლიშვილი.

მედიანიუსი

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ დირექტორობის სამმა კანდიდატმა მეორე ტურის გასაუბრება გაიარა

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ დირექტორობის სამმა კანდიდატმა მეორე ტურის გასაუბრება გაიარა, დარჩენილი ორი კანდიდატი გასაუბრებას ხვალ გაივლის.

ზაალ ანჯაფარიძემ, თიკო ბერძენიშვილმა და ნათია კუპრაშვილმა სამეურვეო საბჭოს საკუთარი პროგრამები პირდაპირ ეთერში გააცნეს და ბორდის წევრების კითხვებს უპასუხეს.

ვასილ მაღლაფერიძეს და ნინო ზაუტაშვილს ბორდის წევრები 4 იანვარს მოუსმენენ.

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის სურვილი თავდაპირველად 15-მა კანდიდატმა გამოთქვა.

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭომ გენერალური დირექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე ღია კონკურსი 2016 წლის 28 ნოემბერს გამოაცხადა. მსურველთა განცხადებების მიღება 28 დეკემბერს დასრულდა.

პირველი

გურჯაანის კულტურის ცენტრიდან 40 თანამშრომლის გათავისუფლებას ხმაური მოჰყვა

გურჯაანის კულტურის ცენტრიდან 40 თანამშრომლის გათავისუფლებას ხმაური და სიტყვიერი დაპირისპირება მოჰყვა.

როგორც გათავისუფლებულები აცხადებენ, ისინი სამსახურიდან დაითხოვა არა დირექტორმა ეთერ ლოლაძემ, არამედ დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად დანიშნულმა პაატა ძულიაშვილმა, რომელიც მანამდე ღონისძიებების მენეჯერად მუშაობდა.

პაატა ძულიაშვილმა 57 თანამშრომელს თათბირი ჩაუტარა და მათგან 40-ს გამოუცხადა, რომ ხელშეკრულებას ვეღარ გაუგრძელებს და კვლავ დაბრუნდებიან თუ არა სამსახურში, 1 თვის შემდეგ ამცნობს.

ინტერპრესნიუსი

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

ოთარ ანგურიძე: „აქციზის შემოღება რთულად მისაღები გადაწყვეტილება იყო“

ნათია ხურცილავა

ეკონომიკის ექსპერტი ოთარ ანგურიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში შექმნილ ეკონომიკურ პროცესებზე საუბრობს.

– პრემიერმა კვირიკაშვილმა გასული წლის შეჯამებისას თქვა, რომ 2017 წელი მაგარი წელი იქნება. პოლიტოლოგების ვარაუდით, პრემიერმა ეკონომიკური მიმართულებით გამოთქვა ასეთი ოპტიმიზმი. თქვენ, როგორც ეკონომისტი, რას იტყვით, რამდენად რეალურია კვირიკაშვილის ეს ოპტიმიზმი?

– რეალურად იმ ინიციატივებით, რომელიც აქვს მთავრობას და რომელიც პარლამენტმა დაამტკიცა, საუბარია მოგების გადასახადზე და ლარიზაციის გეგმაზე, შეიძლება პრემიერმა სწორედ ამ ინიციატივებზე დაყრდნობით გამოთქვა ასეთი ოპტიმისტური ვარაუდი. ასევე, შეიძლება პრემიერი ვარაუდობს, რომ მომავალში ექნება სხვა ახალი ინიციატივები და ამ ინიციატივების ერთობლიობა, მისი გადმოსახედით, შექმნის მაგარ ეკონომიკურ წელს.

– რამდენად რეალურია, რამდენად საფუძვლიანია, ეს არის საინტერესო?

– შეიძლება ეკონომიკურად ციფრებში მართლაც იყოს გამოსახული „მაგარი“ წელი, მაგრამ ეს ინიციატივები საბოლოო ჯამში მაინც წარმოქმნის რთულ ფაქტორებს.

– კონკრეტულად რას გულისხმობთ?

– მაგალითად, აქციზის შემოღებას. თუ აქამდე ნავთობპროდუქტებზე, ერთ ტონაზე აქციზი იყო 250 ლარი, ახლა მისი გაორმაგება საბოლოოდ გამოიწვევს ნავთობპროდუქტებზე დაახლოებით 20-დან 25% თეთრამდე ზრდას. ეს, ბუნებრივია, ავტომატურად გამოიწვევს სხვა ყველა საწვავთან დაკავშირებულ სექტორზე ფასების ზრდას. რამდენად გაიზრდება სხვა სექტორზე ფასები, ახლა ამის თქმა რთულია.

– აქციზის შემოღება რამდენად იყო სწორი გადაწყვეტილება?

– ეს იყო რთულად მისაღები გადაწყვეტილება, რაც საბოლოოდ აისახება ფასებზე და, რა თქმა უნდა, მოსახლეობაზეც. თუმცა, როგორც ჩანს, მთავრობამ ამ შემთხვევაში ამჯობინა ბიუჯეტის შევსება, ეს კი არის ნამდვილად ერთ-ერთი მექანიზმი, რითაც შეიძლება ბიუჯეტი შეავსო.

– ეს არის ბერკეტი ბიუჯეტის შევსების?

– არა, ცხადია, მაგრამ ეს არის ერთ-ერთი გზა. მაგალითად, მთავრობა ვარაუდობს, რომ დანაკარგი იქნება მოგების გადასახადის ნაწილში. ამიტომ მას მოუწია ალტერნატიული გზების მონახვა იმისთვის, რომ მოეხდინა ბიუჯეტის შემოსავლების დაბალანსება. მთავრობამ კარგად იცის, რომ მიუხედავად ნავთობპროდუქტებზე, ალკოჰოლურ სასმელებსა და თამბაქოზე ფასების ზრდისა, მოსახლეობა მაინც არ დაანებებს თავს არც მოწევას და არც ალკოჰოლის მოხმარებას, ასევე ადამიანები მაინც ჩაასხამენ საწვავს, შესაბამისად, ეს არის, მე ვიტყოდი, უალტერნატივო შემოსავალი, რაც უფრო გაზრდი, მით უფრო მეტი შემოსავალი გექნება. ამდენად, მთავრობამ ამ შემთხვევაში აირჩია უალტერნატივო გზა.

– თუმცა, ფასების ზრდა ხომ გამოიწვევს სოციალური ფონის კიდევ უფრო დამძიმებას, რაც აისახება მთავრობის ნეგატივში?

– ამიტომ ვამბობ, რომ, რა თქმა უნდა, შეიძლებოდა სხვა ინიციატივებისთვის მიემართა.

– მაგალითად?

– მე, მაგალითად, ყველა ბიზნესზე არ შემოვიღებდი მოგების გადასახადის გაუქმებას და დიფერენციაციას მოვახდენდი. მაგალითად, ამას არ მივაკუთვნებდი საფინანსო ინსტიტუტებს, განსაკუთრებით, ბანკებს. თუმცა, ბანკებს ორი წლის შემდეგ აუმოქმედდებათ ეს რეგულაცია, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს რეგულაცია მათ მომავალშიც არ უნდა შეეხოთ. მეტ წახალისებას ახალ ბიზნესებს მივცემდი, ე.წ. სტარტაპებს. ეს უფრო საინტერესო იქნებოდა ჩემთვის. თუმცა, ყველა გადაწყვეტილება, ცხადია, მსჯელობის საგანია და ყველა გადაწყვეტილებას შეიძლება მოეძებნოს ახსნა. აქ, რასაკვირველია, მთავარია, რომ ამ გადაწყვეტილებამ ჩვენ მოგვცეს საბოლოოდ შედეგი. ერთი წლის თავზე ვნახავთ თუ რა შედეგს გამოიღებს მთავრობის ახალი ინიციატივები. მანამდე, რასაკვირველია, მიმდინარე პროცესების პერმანენტული შეფასებები შეგვიძლია.

– ლარიზაციის გეგმაზეც მინდა გკითხოთ, რამდენად მოიტანს ეს შედეგს?

– შედეგს მოიტანს, მაგრამ არა მასშტაბურს. იმისთვის, რომ მასშტაბური შედეგი მიგვეღო, მაშინ უფრო ფართო მიმართულებით უნდა წასულიყო მთავრობა. ისევ ბევრი კითხვაა ეროვნულ ბანკთან: მაგალითად, რატომ არ არის გამჭვირვალე? მართალია, რომ ეროვნული ბანკი აპირებს ლარის კურსის განსაზღვრის პროცესში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ჩართვას, რაც კარგია, მაგრამ არა საკმარისია იქიდან გამომდინარე, რომ საბოლოოდ მაინც ორი ბანკის გადაწყვეტილებით დადგინდება მათი აქტივების მოცულობიდან გამომდინარე ლარის კურსი. აუცილებელია, რომ საკანონმდებლო დონით განისაზღვროს, ეროვნულ ბანკს ჰქონდეს ვალდებულება მთლიანად საფინანსო სისტემის სტაბილურობის კუთხით, ეს უნდა შეეხოს აუცილებლად თავად ლარის კურსსაც, ასევე ეს აუცილებლად უნდა შეეხოს რეგულირების პოლიტიკასაც. ამ შემთხვევაში ეს ყველაფერი კანონმდებლობით უნდა იყოს მკაცრად განსაზღვრული. აქვე, აუცილებელია, რომ ეროვნულმა ბანკმა გააგრძელოს ფინანსური სტაბილურობის დოკუმენტის გამოქვეყნება და რაც შეიძლება უფრო მეტი კომუნიკაცია უნდა იყოს მთავრობას, ეროვნულ ბანკს, ექსპერტებსა და ბიზნესს შორის. ეს ოთხი რგოლი აუცილებლად უნდა იყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხოლოდ მთავრობის მიერ შემუშავებული ინიციატივებით, ჩვენ ვნახეთ, თუ რა მყისიერად გაუფასურდა ლარი. შეიძლება ამ პროცესს სხვა რგოლებმა ხელოვნურადაც შეუწყვეს ხელი, თუმცა, ახალი ინიციატივებისთვის ფაქტია, რომ არც ბიზნესი, არც მოსახლეობა და არც საბანკო სექტორი მზად არ აღმოჩნდა.

2016 წელს საქართველოს 7.6%-ით მეტი საერთაშორისო მოგზაური ეწვია

– 2015 წელთან შედარებით, 2016 წელს საქართველოში საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა 7.6%-ით გაიზარდა, – ამის შესახებ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გიორგი ჩოგოვაძემ განაცხადა, რომელმაც 2016 წლის სტატისტიკა შეაჯამა.

როგორც ჩოგოვაძემ აღნიშნა, 2016 წელს საქართველოს 6.350.825 საერთაშორისო მოგზაური ეწვია, რაც 2015 წელთან შედარებით 449.731-ით მეტია. (ზრდა+7.6%).

მისივე თქმით, 2016 წელს 19%-ით გაიზარდა იმ საერთაშორისო მოგზაურთა რაოდენობა, რომლებმაც საქართველოში 24 საათი და მეტი დაჰყვეს და მათმა რაოდენობამ 2.714.773 შეადგინა, რაც 432.802-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

ჩოგოვაძის განცხადებით, 2016 წელს საქართველოში მოგზაურთა საუკეთესო ტოპ-ხუთეული ასე გამოიყურება: აზერბაიჯანი 1.523.075 (+9.3%), სომხეთი 1.496.246 (+1.9%), თურქეთი 1.254.089 (-9.9%), რუსეთი 1.037.564 (+12.0%) და უკრაინა 172.631 (+21.8%).

– აღსანიშნავია, რომ რუსეთიდან საერთაშორისო მოგზაურთა რაოდენობამ პირველად გადააჭარბა მილიონს. პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც საქართველოში ვიზიტების რაოდენობის ზრდის კუთხით, იანვარ-დეკემბრის პერიოდში გამოირჩეოდნენ ლატვია +24%, ლიტვა +16%, ჩეხეთი +15%, ბულგარეთი +12% და გერმანია +11%. განსაკუთრებული ზრდა ფიქსირდება შემდეგი ქვეყნებიდან – ირანი (+485%), ინდოეთი (+199%), საუდის არაბეთი (+116%), ფილიპინები (+89%), ომანი (+75%) და ჩინეთი (+46%)“, – განაცხადა ჩოგოვაძემ.

მისივე თქმით, მნიშვნელოვნად გაიზარდა შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან.

2016 წლის სამი კვარტლის ჯამური მონაცემებით, შემოსავალი უცხოური ტურიზმიდან საქართველოში შეადგენს 1.7 მილიარდ (1.684.914.617) აშშ დოლარს (ზრდა +11.7), რაც 177 მილიონი აშშ დოლარით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. ტურიზმიდან შემოსავალი 2016 წლის საბოლოო მონაცემებით 2 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბებს.

როგორც ჩოგოვაძემ აღნიშნა, 2016 წლის სამი კვარტლის ჯამური მონაცემებით, წილმა მთლიან შიდა პროდუქტში 7.3% შეადგინა. ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით +10.5%.

– 2016 წლის თერთმეტი თვის მონაცემებით, საერთაშორისო მოგზაურების მიერ უცხოური საგადახდო ბარათებით განხორციელებულმა ოპერაციებმა 1.479.633 ლარი შეადგინა, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით +10.1%-იანი ზრდა დაფიქსირდა, – განაცხადა ჩოგოვაძემ.

ინტერპრესნიუსი

ამერიკის ხმა: „მოგების გადასახადის ესტონური რეფორმა საქართველოს ძვირი უჯდება“

ახალი წლის პირველი დღეები საქართველოში ფასების მკვეთრი მატებით აღინიშნა. ეკონომიკური ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ლარის გაუფასურების, ეკონომიკური ზრდის შემცირებისა და ახალი ფაქტორის – მოგების გადასახადის ესტონური რეფორმის გამო, ცხოვრების გაძვირების ტენდენცია, შესაძლოა, მთელი წლის განმავლობაში გაგრძელდეს.

2017 წლის პირველი იანვრიდან ფასებმა ავტომატურად მოიმატა ბენზინზე (15 თეთრით), დიზელზე (7-15 თეთრით), მსუბუქ ავტომობილებზე, საავტომობილო ზეთებსა და აირზე (20 თეთრით), თამბაქოზე (20-50 თეთრით), ანუ იმ პროდუქტებზე, რომელთა აქციზის გადასახადი მთავრობამ გაორმაგა ან სულაც, გაასამმაგა. ამას კი ბაზარზე ჯაჭვური რეაქცია ჰქონდა.

მთავრობა აქციზის გადასახადის ზრდაზე იმ რეფორმის გამო წავიდა, რომელსაც პრემიერ კვირიკაშვილის კაბინეტი – „რევოლუციურს“ უწოდებს. პირველი იანვრიდან, საქართველოში, ყოველწლიური 15%-იანი მოგების გადასახადი, „ესტონური მოდელით“, ანუ „განაწილებული მოგების ყოველთვიური გადასახადით“ შეიცვალა.

ამიერიდან ბიზნესი მხოლოდ მოგების განაწილების შემთხვევაში დაიბეგრება, ხოლო თუ დივიდენდის რეინვესტირებას ისევ უკან, ეკონომიკაში მოახდენს, ის მოგების გადასახადისგან თავისუფალი იქნება.

მთავრობა დარწმუნებულია, რომ ბიზნესისთვის მოგების დატოვება ეკონომიკას მნიშვნელოვნად გამოაცოცხლებს. მოგების გადასახადის რეფორმა საქართველოს საკმაოდ ძვირი უჯდება. რეფორმის გამო, 2017 წელს, სახელმწიფო ბიუჯეტი, წინასწარი პროგზონით, 500-დან 800 მილიონამდე ლარს ვერ მიიღებს. დანაკლისის შევსებას მთავრობა სწორედ გაზრდილი

აქციზის გადასახადიდან ელოდება.

აუდიტორული კომპანია „პაპიაშვილი კონსალტინგ ჯგუფის“ მმართველი პარტნიორი დავით პაპიაშვილი ამბობს, რომ „ესტონურ მოდელს“ დადებითთან ერთად, აქვს უარყოფითი მხარეებიც, რომელმაც შესაძლოა, ბიზნესის ნაწილს დამატებითი პრობლემა შეუქმნას:

– ის ფაქტი, რომ თუ კომპანია არ წაიღებს დივიდენდს – არ დაიბეგრება, ძალიან პოზიტიური სიახლეა, მაგრამ ახალ კანონში, ამის გარდა, ძალიან ბევრი მომენტია დივიდენდთან გათანაბრებული – ავანსი, სესხი, უსაბუთო ხარჯი, ოფშორში გადარიცხვა და ა.შ. დარწმუნებული ვარ, რომ ბიზნესს ბოლომდე არ აქვს ინფორმაცია ახალი წესის ამ ქვედა დინებებზე, და სწორედ ამიტომ, საუბარი მიდის მხოლოდ ერთადერთ კონტექსტში, რომ თუ არ წავიღებთ დივიდენდს, არ ვიბეგრებით და მორჩა.

მხოლოდ განაწილებული მოგების ანუ დივიდენდის დაბეგვრას, პესიმისტურად უყურებს საერთაშორისო სავალუტო ფონდიც. მათი აზრით, საბიუჯეტო შემოსავლების კლება, მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ), დაახლოებით, 1,5%-ით (500 მილიონით), ავტომატურად გაზრდის საბიუჯეტო დეფიციტს.

საქართველოს კანონში „ეკონომიკური თავისუფლების“ შესახებ ნათქვამია, რომ ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან- 3%-ზე მეტი არ უნდა იყოს. მაშინ, როცა 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი უკვე – 3,7%-ია. მაღალი დეფიციტის პირობებში, მთავრობას ისევ დაუდგება ბიუჯეტის შევსების პრობლემა და ავტომატურად მოუწევს საგარეო ვალის გაზრდა, რომელმაც ისედაც გადააჭარბა მშპ-ის 40%-ს. ამჟამად, საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი 15 მილიარდ 300 მილიონ დოლარს შეადგენს. მხოლოდ, 2016 წლის მესამე კვარტალში ვალმა – 173 მილიონი დოლარით მოიმატა.

ფინანსთა ყოფილი მინისტრი ლექსო ალექსიშვილი მიიჩნევს, რომ მოგების გადასახადის რეფორმის წარმატებით დასრულება მნიშვნელოვანია, თუმცა, ამ პროცესმა საფრთხე არ უნდა შეუქმნას ქვეყნის მაკროეკონომიკურ სტაბილურობას. ალექსიშვილი გამოსავალს საბიუჯეტო ხარჯების მნიშვნელოვან შეკვეცაში ხედავს:

– ჩვენ საბიუჯეტო დეფიციტის მოცულობა უნდა გვქონდეს ზღვრულ ოდენობამდე, სავალუტო ფონდის მოსაზრებით, ეს არის – 3%. ეს ზღვარი რომ დავიცვათ, უნდა მოხდეს საბიუჯეტო ხარჯების მნიშვნელოვანი შემცირება და ყველაზე უპრიანი იქნება, რომ მთელი აქცენტი სწორედ ამ მიმართულებით იყოს გადატანილი. თუ ჩვენ დავინახავთ, რომ მაკროეკონომიკურ სტაბილურობას, შეიძლება რაიმემ საფრთხე შეუქმნას, ამ შემთხვევაში, ბუნებრივია, უარი უნდა ვთქვათ, ე.წ პრიორიტეტულ მიმართულებებზეც, მათ შორის, ინფრასტრუქტურის დაფინანსებაზეც.

მოგების გადასახადის რეფორმირების იდეა პირადად გიორგი კვირიკაშვილს ეკუთვნის, რომელიც მან, 2015 წლის მარტში, ჯერ კიდევ ეკონომიკის მინისტრის რანგში გაახმოვანა, თუმცა მაშინდელ მთავრობაში იდეამ მხარდაჭერა ვერ ჰპოვა.

2016 წლის იანვარში, უკვე პრემიერ-მინისტრის რანგში, გიორგი კვირიკაშვილი ისევ მიუბრუნდა ესტონურ მოდელს, რომელიც თავად ესტონეთში 2000 წელს შემოიღეს. პარლამენტმა საგადასახადო კოდექსში ცვლილებებს 2016 წლის მაისში 85 ხმით დაუჭირა მხარი.

თავდაპირველად, ახალი სისტემა 2016 წლის 1 ივლისს უნდა ამოქმედებულიყო, თუმცა, ბიზნესის თხოვნის საფუძველზე თარიღმა 2017 წლის პირველ იანვრამდე გადმოწია. პირველი იანვრიდან ახალი გადასახადის გადამხდელია საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ყველა რეზიდენტი საწარმო, გარდა კომერციული ბანკების, საკრედიტო კავშირების, ინდივიდუალური მეწარმეების, ლომბარდების, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების. მათ ახალი რეგულაციები 2019 წლის 1 იანვრამდე არ ეხებათ.

აქციზის გადასახადის ზრდის მოცულობა 2017 წლის 1 იანვრიდან:

1 ტონა ბენზინზე – 250 ლარიდან 500 ლარამდე;

1 ტონა დიზელზე – 150 ლარიდან 400 ლარამდე;

1000 მ3 ბუნებრივ ავტოსაწვავად გამოყენებულ აირზე – 80-დან 200 ლარამდე;

ავტოზეთებზე – 400-დან 800 ლარამდე;

2016 წლის ავტოზე (ძრავი 2 სმ) – 3000 ლარიდან 4600 ლარამდე;

2001 წლის ავტოზე (ძრავი 1.8 სმ) – 1440 ლარიდან 4140 ლარამდე;

2006 წლის ავტოზე (ძრავი 1.6 სმ) – 750 ლარიდან 1500 ლარამდე;

2010 წლის ავტოზე (ძრავი 1.7 სმ, მარჯვენა საჭე) – 1360 ლარიდან 4080 ლარამდე;

1 კოლოფ ფილტრიან სიგარეტზე – 0,6 ლარით – 1,7 ლარამდე;

1 უფილტრო სიგარეტზე – 0,3 ლარით – 0,6 ლარამდე;

აქციზის გადასახადის კლების მოცულობა 2017 წლის 1 იანვრიდან:

2013 წლის ავტოზე (ძრავი 1.8 სმ, ჰიბრიდი) – 2520 ლარიდან 1008 ლარამდე.

ნიუსპრესი

გიგი უგულავა: „არის საკითხები, რომელშიც პროკურორების ნარატივს ვიღებ და არის საკითხები, რომელშიც კატეგორიულად არ ვიღებ“

– არის საკითხები, რომელშიც პროკურორების ნარატივს ვიღებ და არის საკითხები, რაშიც კატეგორიულად არ ვიღებ

ამის შესახებ თბილისის ყოფილმა მერმა გიგი უგულავამ სააპელაციო სასამართლოში, „თბილსერვის ჯგუფის“ საქმეზე დასკვნითი სიტყვის წარმოთქმისას განაცხადა.

გიგი უგულავამ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ „თბილსერვის ჯგუფში“ ხალხი მან დაასაქმა და ამ პასუხისმგებლობას არ გაურბის, თუმცა, როგორც უგულავამ აღნიშნა, ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა აღიქმებოდეს, როგორც მითვისება ან გაფლანგვა.

დასკვნითი სიტყვის წარმოთქმისას უგულავამ ასევე აღნიშნა, რომ ადამიანების დასაქმებისას არ ჰქონია განზრახვა, რომ ისინი „პარტიულები“ ყოფილიყვნენ, თუმცა აღიარა, რომ „თბილსერვის ჯგუფში“ დასაქმებულთა ნაწილი სწორედ ამ კატეგორიის იყო.

– მე რომ მიზნად დამესახა ადმინისტრაციული ორგანოსა და მმართველი პარტიის გამიჯვნა, ალბათ ამას რაღაც დონემდე გავაკეთებდი, მაგრამ ეს მიზანი არ მქონია. ძალიან ვწუხვარ, რომ არ დავისახე ეს მიზნად და ვერ შევძელი ამის განხორციელება. ეს ჩემი საქმიანობის სუსტი რგოლი იყო. თუ სახელმწიფო სამსახურში დასაქმებული ადამიანები მუშაობენ როგორც აგიტატორები, ეს არის, რა თქმა უნდა, ცუდი, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ არის გაფლანგვა და, მით უმეტეს, არც მითვისება, – განაცხადა გიგი უგულავამ.

თბილისის ყოფილმა მერმა ასევე აღნიშნა, რომ დღეს, ისევე, როგორც წინა პერიოდებში არ არსებობდა განცდა, რომ სახელმწიფო და მმართველი პარტია არის სხვადასხვა.

– ცუდია, რომ არ მივაქციე ყურადღება ამ საკითხებს ბოლომდე. „თბილსერვის ჯგუფი“ შეიძლება დაემსგავსა პარტიულ უჯრედს ცოტათი – არის საკითხები, რომელშიც პროკურორების ნარატივს ვიღებ და არის საკითხები, რაშიც არ ვიღებ კატეგორიულად, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ ვეთანხმები მითვისებას და გაფლანგვას. არც პირადი მოტივი არ მქონია, არც პირადი სარგებელი არ მიმიღია და მაინც არ ვთვლი, რომ წყალშია გადაყრილი ის ფული, რომელიც ამ ხალხმა გასამრჯელოს სახით აიღო, – განაცხადა უგულავამ.

ინტერპრესნიუსი

შსს-მ ჯგუფური თაღლითობის ბრალდებით 4 პირი დააკავა, ხოლო ერთი პასუხისგებაში მისცა

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სამმართველოს თანამშრომლებმა, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილი თაღლითობის ბრალდებით, 4 პირი: 1975 წელს დაბადებული ვ.ა., 1975 წელს დაბადებული გ.ს., 1983 წელს დაბადებული ა.ჭ. და 1991 წელს დაბადებული ტ.თ. დააკავეს, ხოლო 1982 წელს დაბადებული გ.მ. სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ს პრესსამსახურიდან აცნობეს, გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულებმა შპს „ნპ საქართველო“ და შპს „მოტორ ლაინ ქომფანი“ დააფუძნეს და ერთ-ერთ ვებ-გვერდზე რეკლამა განათავსეს, თითქოს ამერიკის შეერთებული შტატებიდან და ევროპის ქვეყნებიდან მოქალაქეთათვის სასურველი ავტომანქანები საბაზრო ღირებულებასთან შედარებით დაბალ ფასად ჩამოჰყავდათ.

შსს-ს ინფორმაციით, ბრალდებულები მოქალაქეებთან ყალბ ხელშეკრულებებს აფორმებდნენ, რომელთა საშუალებითაც ვალდებულებას იღებდნენ, მითითებული ავტომობილები ხელმოწერიდან 60 დღის ვადაში ჩამოეყვანათ, ხოლო მოქალაქეებს თანხები შესაბამის ანგარიშებზე ავტომანქანების ჩამოსვლამდე, წინასწარ უნდა ჩაერიცხათ.

– აღნიშნული დანაშაულებრივი სქემის საშუალებით, ბრალდებულები თაღლითურად დაეუფლნენ მოქალაქეების კუთვნილ 115.300 აშშ დოლარს და 1.900 ევროს. პოლიციამ ერთ-ერთი დაკავებულის – გ.მ.-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, 7.200 აშშ დოლარი, ხოლო ბრალდებულების კუთვნილი კომპანიების ოფისებიდან სხვადასხვა დოკუმენტაცია და კომპიუტერები ნივთმტკიცების სახით ამოიღო. მხილებული პირის ადგილსამყოფელის დადგენისა და დაკავების მიზნით სამძებრო-საგამოძიებო ღონისძიებები მიმდინარეობს. გამოძიება წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ ჩადენილი დიდი ოდენობით თაღლითობის ფაქტზე მიმდინარეობს, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია საქართველოს სსკ-ს 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით“, – აღნიშნულია შსს-ს პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ინტერპრესნიუსი

მაგდა პაპიძის საქმე ხელახლა არ განიხილება

მთავარი პროკურატურა მაგდა პაპიძის საჩივართან დაკავშირებით სპეციალურ განცხადებას ავრცელებს. სააპელაციო სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ მაგდა პაპიძის საჩივრის დაუშვებლად ცნობასთან დაკავშირებით მთავა-

რი პროკურატურა სპეციალურ განცხადებას ავრცელებს.

საგამოძიებო ორგანო განმარტავს, რომ მაგდა პაპიძის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი ვერდიქტი ემყარებოდა სასამართლოში გამოკვლეულ მტკიცებულებებს და იყო დასაბუთებული, ხოლო დანიშნული სასჯელი იყო კანონიერი.

– ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და 2016 წლის 4 ივლისს მაგდა პაპიძე ერთხმად ცნო დამნაშავედ ოჯახური დანაშაულის, კერძოდ, წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანისა და ორი პირის განზრახ მკვლელობაში, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 111-109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით.

საზოგადოებას შევახსენებთ, რომ 2015 წლის 19 დეკემბერს, ღამის საათებში, ქ.თბილისში, გ.ფერაძის ქუჩა №6-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის №10 ოთახში მაგდა პაპიძემ თავის არეში უროს რამდენიმე ჩარტყმით განზრახ მოკლა მეუღლე ომარ ქაფიაშვილი და გაგუდა არასრულწლოვანი შვილი, 5 წლის თორნიკე ქაფიაშვილი, რის შემდეგაც ცხედრები ეზოში გაიტანა და შეეცადა წაეშალა დანაშაულის კვალი.

2016 წლის 06 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოში გაიმართა სასჯელის დანიშვნის სხდომა და მოსამართლემ მაგდა პაპიძეს სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა უვადო თავისუფლების აღკვეთა.

ზემოაღნიშნული განაჩენი გასაჩივრებული იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოში, სადაც დაცვის მხარე ითხოვდა ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებული გამამტყუნებელი ვერდიქტის გაუქმებას, საქმის დაბრუნებას ხელახალი განხილვისათვის და დანიშნული სასჯელის გაუქმებას.

ბრალდების მხარე სააპელაციო საჩივრის შესაგებელში მიუთითებდა, რომ მაგდა პაპიძის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი ვერდიქტი ემყარებოდა სასამართლოში გამოკვლეულ მტკიცებულებებს და იყო დასაბუთებული, ხოლო დანიშნული სასჯელი იყო კანონიერი, შესაბამისად, არ არსებობდა ვერდიქტის გაუქმების და საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ დაცვის მხარის საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი, – ნათქვამია პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ინტერპრესნიუსი

პროკურატურამ დავით გერლიანი-ჩაჩიბაიას განაჩენი გაასაჩივრა

პროკურატურამ დავით გერლიანი-ჩაჩიბაიას მიმართ ე.წ. კანონიერი ქურდობის ნაწილში გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი გაასაჩივრა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ პროკურორმა ვაჟა თოდუამ განუცხადა.

პროკურორის თქმით, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი სახელმწიფო ბრალდებამ როგორც ე.წ. კანონიერი ქურდობის, ასევე საზღვრის უკანონოდ კვეთის მცდელობისთვის დაკისრებული ჯარიმის ნაწილშიც გაასაჩივრა. ვაჟა თოდუას თქმით, პროკურატურა მიიჩნევს, რომ საზღვრის უკანონოდ კვეთის მცდელობისთვის პირველი ინსტანციის სასამართლომ მსუბუქი სასჯელი გამოიყენა, რაც სახელმწიფო ბრალდებისთვის დამაკმაყოფილებელი არ იყო.

იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო სასამართლომ პროკურატურის საჩივარი წარმოებაში მიიღო, დავით გერლიანი-ჩაჩიბაიას ინტერესების დამცველების თქმით, ისინი პროკურატურის ყველა არგუმენტს გააბათილებენ. როგორც ადვოკატმა თამარ აბესაძემ აღნიშნა, გერლიანი-ჩაჩიბაიამ მის საქმეზე განაჩენის გამოცხადების შემდეგ საქართველო დატოვა და, შესაბამისად, სააპელაციო განხილვებს ვერ დაესწრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებით, დავით გერლიანი-ჩაჩიბაია „კანონიერი ქურდობის“ ბრალდების ნაწილში გამართლდა, ხოლო საზღვრის უკანონოდ კვეთის მცდელობაში დამნაშავედ იქნა ცნობილი და 6.500 ლარიანი ჯარიმის გადახდა დაეკისრა.

ინტერპრესნიუსი

ცოლის მკვლელობაში ბრალდებული მამაკაცი პოლიციას თავად ჩაბარდა

თბილისში, აღმაშენებლის №115-ში მოკლული ქალის ცხედარი პროზექტურაში გადაასვენეს. შემთხვევა რამდენიმე საათის წინ მოხდა. არსებული ინფორმაციით, გარდაცვლილი მეუღლემ თოკით გაგუდა. სავარაუდოდ, შემთხვევას წინ ფულის საკითხზე დაწყებული ურთიერთშელაპარაკება უძღოდა.

მეზობლების ინფორმაციით, გარდაცვლილი მეუღლესთან ერთად აღნიშნულ მისამართზე 2011 წლიდან ცხოვრობს. მათივე თქმით, ოჯახი კონფლიქტური არ იყო.

ამასთან, როგორც ადგილობრივები ჰყვებიან, მოკლულის ცხედარი საცხოვრებელ სახლში სამართალდამცავებმა მას შემდეგ აღმოაჩინეს, რაც დანაშაულის შესახებ პოლიციას თავად გარდაცვლილის მეუღლემ უამბო.

– ეს ოჯახი კონფლიქტურობით არ გამოირჩეოდა. 2011 წელს გადმოვიდნენ ამ სახლში, ცხოვრობდნენ ქირით. ქალი ერთ-ერთ მაღაზიაში მუშაობდა. როგორც ვიცით, მათ საერთო შვილი არ ჰყავდათ, თუმცა ქმარს პირველი ქორწინებიდან ჰყავს შვილი. გარდაცვლილი ახალგაზრდა იყო. საკმაოდ კარგი ურთიერთობით გამოირჩეოდა მეზობლებთან. არანაირი კონფლიქტი აქამდე არ შეგვიმჩნევია. ცხედარი სამართალდამცავებმა აღმოაჩინეს. როგორც ამბობენ, პოლიციას თვითონ მეუღლე ჩაბარდა და შემთხვევის შესახებ თავად განაცხადა, – გვითხრა ერთ-ერთმა მეზობელმა მაია გელოვანმა.

ადგილზე ამ დრომდე იმყოფებიან სამართალდამცავები. მიმდინარეობს საგამოძიებო სამუშაოები.

ინტერპრესნიუსი

აჭარის საპატრულო პოლიციაში ყველა საკუთარ პოზიციას ინარჩუნებს

– ამ ეტაპზე აჭარის საპატრულო პოლიციაში ყველა საკუთარ პოზიციას ინარჩუნებს. შინაგან საქმეთა სამინისტრო აჭარის ძალოვან უწყებაში საკადრო ცვლილებების შესახებ ინფორმაციას ამ ეტაპზე არ ადასტურებს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუცხადეს, ამ ეტაპზე ყველა თანამდებობის პირი საკუთარ პოზიციას ინარჩუნებს.

– ამ ეტაპზე საკადრო გადაადგილებას არ ვადასტურებთ. ამ ეტაპზე ყველა ინარჩუნებს საკუთარ პოზიციას. თუ რაიმე სიახლე იქნება, საზოგადოებას ვაცნობებთ, – განაცხადეს შსს-ში.

არსებული ინფორმაციით, აჭარის ძალოვან უწყებაში საკადრო ცვლილებებია. „აჭარის ტელევიზიის“ ინფორმაციით, თანამდებობები აჭარის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსმა დავით მამულაშვილმა და მისმა მოადგილეებმა დატოვეს. ასევე არხის ცნობით, საკადრო ცვლილება შესაძლოა შეეხოს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის უფროს ლაშა გოგნიაშვილს.

როგორც ტელეკომპანია განმარტავს, აჭარის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელმა და მისმა მოადგილეებმა თანამდებობები 3 დღის წინ დატოვეს.

ინტერპრესნიუსი

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგიირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

სტამბულის სროლა ყირგიზეთის მოქალაქემ ატეხა?

თურქეთში გრძელდება მასშტაბური ოპერაცია სტამბულის ტერაქტის მონაწილეთა შეპყრობის მიზნით.

პოლიციამ 12 პიროვნება დააკავა.

თურქული მედიის ცნობით, პოლიციის ხელთ აღმოჩნდა იმ კაცის ფოტო, ვინც სროლა ატეხა. თურქი ძალოვნები თავშეკავებულნი იყვნენ ამ პიროვნების ვინაობასთან დაკავშირებით. თურქულ მედიაში ამ მხრივ ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაცია გაჟღერდა. ერთნი ამტკიცებდნენ, რომ პიროვნება, რომლის ფოტოც პოლიციის ხელთ აღმოჩნდა, სავარაუდოდ, ჩინეთის მოქალაქეა, სხვები კი ამბობდნენ, რომ ის უიღურია.

ამასობაში პრესით მეორე ინფორმაცია გახმაურდა – ეჭვმიტანილი უზბეკეთის ან ყირგიზეთის მოქალაქეა. თურქმა ძალოვნებმა მისი ვინაობა მხოლოდ მას შემდეგ გაახმაურეს, რაც ცხადი გახდა, რომ ეჭვმიტანილის დაკავება ვერ მოხერხდა. ის ყირგიზეთის მოქალაქე მაშრაპოვი აღმოჩნდა.

თავად მაშრაპოვი ახლა უკვე მშობლიურ ქალაქ ოშში იმყოფება. ის ადასტურებს, რომ თურქეთში მართლაც ჩავიდა, თუმცა ტერაქტში მონაწილეობას კატეგორიულად უარყოფს.

– მე ბიზნესმენი ვარ. თურქეთში საქმეების გამო ჩავედი. არ ვიცი, ჩემი ფოტო პოლიციის ხელთ როგორ მოხვდა! არავითარ ტერაქტთან კავშირი არა მაქვს, – ამბობს მაშრაპოვი.

ყირგიზეთის უშიშროების სამსახურში განაცხადეს, რომ თავიანთი თურქი კოლეგებისგან ინფორმაცია მიიღეს და ახლა მისი გადამოწმება მიმდინარეობს.

– ჩვენ ამ საქმეს გულდასმით შევისწავლით და სათანადო ზომებსაც მივიღებთ, – აცხადებენ ყირგიზი ჩეკისტები.

მაშრაპოვი მართლაც დაკითხეს. ამის შემდეგ ყირგიზეთის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ის უდანაშაულოა.

– გამორიცხულია, რომ ჩვენს მოქალაქეს ამ ტერაქტთან რაიმე საერთო ჰქონდეს, – ასეთია ყირგიზეთის ხელისუფლების ოფიციალური განცხადება.

თურქეთის პარლამენტმა კი საგანგებო მდგომარეობა კიდევ 3 თვით გააგრძელა. თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ჩავუშოღლუს ცნობით, პოლიციამ დაადგინა იმ პიროვნების ვინაობა, ვინც სტამბულის ღამის კლუბში სროლა ატეხა.

მისი ვინაობის დასახელებისაგან მინისტრმა ჯერჯერობოთ თავი შეიკავა.

ჯონ ბრენანი: რუსეთი აშშ-ის არჩევნებში ჩაერია



ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორმა ჯონ ბრენანმა განაცხადა, რომ რუსეთი ამერიკის პრეზიდენტის არჩევნებში მართლაც ჩაერია და ამის დამადასტურებელი ფაქტები არსებობს.

– პარასკევს ფართო საზოგადოებას ამის დამადასტურებელ საბუთებს წარვუდგენ, – თქვა ბრენანმა.

აშშ-ის კონგრესში რუსული ხელის გარშემო ერთგვაროვანი პოზიცია არ არსებობს. დემოკრატები, რომლებიც უმცირესობას შეადგენენ, ბრენანის პოზიციას იზიარებენ. რესპუბლიკური უმრავლესობა კი გაიყო. ნაწილი ბრენანს არ ეთანხმება, ნაწილი კი თვლის, რომ დაზვერვის უფროსი მართალია.

ერთსულოვნება მხოლოდ ერთ საკითხშია: როგორც რესპუბლიკელები, ისე დემოკრატები მიიჩნევენ, რომ რუსეთის მიმართ სანქციების გამკაცრება აუცილებელია.

დემოკრატმა სენატორმა ბენ კარდინმა განაცხადა, რომ აშშ-ის სენატში უკვე დევს კანონპროექტი, რომელიც რუსეთის მიმართ სანქციების გამკაცრებას ითვალისწინებს.

კონგრესმენმა ისიც აღნიშნა, რომ ტრამპზე ზეწოლას ჯერჯერობით არ აპირებს.

– ჩვენ უბრალოდ კანონპროექტი მოვამზადეთ. ვნახოთ, როგორი იქნება ამაზე ტრამპის რეაქცია. თუკი გაჯიქდა, ვაიძულებთ, რომ ახალ სანქციებს დათანხმდეს, – თქვა კარდინმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

პოროშენკო: აშშ უკრაინის საიმედო მოკავშირედ რჩება

უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ განაცხადა, რომ ტრამპის ადმინისტრაციასთან უფრო ახლო და მეგობრული ურთიერთობები ექნება, ვიდრე მის წინამორბედთან.

პოროშენკომ ხაზი გაუსვა, რომ აშშ-ში უკრაინის მნიშვნელობა კარგად ესმით. ეს თანაბრად შეეხება როგორც კონგრესს, ასევე ტრამპის ადმინისტრაციასაც.

– აშშ ჩვენ საიმედო პარტნიორად რჩება, – თქვა პოროშენკომ.

ამავე დროს, უკრაინის ელჩმა აშშ-ში ჩალიმ განაცხადა, რომ პოროშენკო ტრამპის ინაუგურაციას არ დაესწრება და ამაში არაფერი საგანგაშო არ არის.

– ამგვარ ღონისძიებებზე სახელმწიფოს მეთაურებს არ იწვევენ! აშშ-ის პრეზიდენტის ინაუგურაციასაც მე, უკრაინის ელჩი აშშ-ში, დავესწრები, – თქვა ჩალიმ.

მარინ ლე პენი: ყირიმი რუსეთის განუყოფელი ნაწილია

ფრანგი ულტრა-რადიკალების ლიდერმა მარინ ლე პენმა განაცხადა, რომ ყირიმი რუსეთის განუყოფელი ნაწილია.

– ჩატარდა რეფერენდუმი. მოსახლეობამ ხმა რუსეთის შემადგენლობაში შესვლას მისცა. ხალხის ნებას კი პატივი უნდა ვცეთ, – თქვა ლე პენმა.

ფრანგი რადიკალების ლიდერი უფრო შორს წავიდა. მან აღნიშნა, რომ უკრაინის დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობა ევროპას საფრთხეს უქადის.

– უკრაინაში ძლიერი რუსოფობული განწყობებია! მოსკოვი ამას არასოდეს შეეგუება! თუკი დასავლეთი უკრაინაზე ზეწოლას არ განახორციელებს, რუსეთ-უკრაინის ომი გარდაუვალია. ეს კი ევროპისათვის კატასტროფაა, – ამტკიცებს მარინ ლე პენი.

საფრანგეთის პრემიერმა ვალსმა ლე პენს უმთავრესი ეროვნული საფრთხე უწოდა.

– სამწუხაროდ, შესაძლებელია, რომ მარინ ლე პენი პრეზიდენტად მოგვევლინოს და თუკი ასე მოხდა, ვაი საფრანგეთს! – ამბობს ვალსი.

კულტურა

ოთარ ჩრდილელი ქართულ კინოს აკრიტიკებს

პარლამენტარი ოთარ ჩრდილელი ქართულ კინოს აკრიტიკებს და მისი შემქმნელებისგან მრავალფეროვანი იდეების განხორციელებას ითხოვს.

ოთარ ჩრდილელი:

– ძალიან პრიმიტიულ დონეზე გადაღებულ ფილმებს გვთავაზობენ, ვითომ იუმორისტულ ჟანრში...

არანაირი ორიგინალურობა, სიტყვათა თამაში, სცენარის განვითარება, უსაზიზღრესი ლექსიკა, ყალბი ინტონაცია, არასრულფასოვანი დიქცია, გრიმასა და მიმიკა არც ჩანს მთელი ფილმის მანძილზე.

თქვენი ჭირიმე, მთლად სახელმწიფოს ნუ დააბრალებთ, რომ დაფინანსება არ არის. სახელმწიფო რასაც სცოდავს, ეგ ვიცით, გავიგეთ... მაგრამ იდეების ნაკლებობას რა ვუყოთ?! სცენარს, რომ ვერ წერთ?!

გამაგებინეთ: ფულს ხომ მაინც იზიდავთ და იღებთ ფილმებს, მსახიობები მონაწილეობენ... და თქვე კარგო ხალხო, ცოტაა იდეები, რომ ნორმალური ფილმი გადაიღოთ?! ან რას ჩააცივდით, ამ ძალად კომედიურ ხაზს?! საერთოდ უფრო ძნელია მაყურებელი გააცინო, ვიდრე აატირო. კომედიას სხვა მიდგომა და გაბარიტები სჭირდება. ჭეშმარიტ კომედიაზე ვსაუბრობ...

როგორც ფეხბურთშია ღრმა კრიზისი, იმაზე მეტად არის ჭაობში ჩაფლული ქართული კინო.

ბუკვალურად ნუ გაიგებთ, მე, როგორც მაყურებელს, არ მაინტერესებს კინოცენტრის უფროსი ვინ არის ან ალტერნატიულ ცენტრს ვინ გახსნის და ვინ დახურავს. ხარისხიანი და მცირებიუჯეტიანი ფილმები არსებობს, ეს ჩემგან არ გესწავლებათ.

უნიჭიერესი ერი ვართ, ბრწყინვალე ტრადიციებით, ახალგაზრდა და ძველი თაობის მსახიობების კოჰორტას გავუფრთხილდეთ და ნუ ჩავკლავთ მათში ნიჭიერებას, მსახიობის სულს...

უბრალოდ, ეს სურვილი და თხოვნაა ჩემი – როგორც ქართული კინოს რიგითი გულშემატკივრის...

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

განცხადებები

მომსახურება

● სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 260 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

მამუკა გორგოძე: ახალგაზრდულიდან პირველ ნაკრებში ძალიან კარგი შევსება მოდის

2016 წლის საქართველოს საუკეთესო მორაგბედ მამუკა გორგოძე დასახელდა, რომელმაც ეს ჯილდო მეექვსედ დაისაკუთრა – 2008, 2009, 2011, 2013, 2015 და 2016 წლებში.

მართალია, წლის განმავლობაში გორგოძემ ბორჯღალოსნების კვართით სულ ოთხჯერ ითამაშა – ერთხელ რაგბი ევროპის ჩემპიონატზე რუმინეთის სარეკორდო ძლევისას და სამჯერ ნოემბრის ტესტებზე, სადაც ის გუნდის კაპიტანი იყო. თუმცა, მისი ტულონი საფრანგეთის ტოპ 14-ის ფინალში გავიდა, რომელსაც ბარსელონას 98.000-იანმა კამპ ნოუმ უმასპინძლა და გორგოძე გახდა პირველი ქართველი მორაგბე, რომელმაც ფინალურ შეხვედრაში ლელო დაამიწა. ერთია, მისმა ტულონმა ჩემპიონობა რასინგთან დათმო.

სეზონის შემდეგ პირველობის საუკეთესოების გამოსავლენად ფრანგულმა სარაგბო გამოცემამ „მიდი ოლიმპიკმა“ გამოკითხვა აწარმოა, რომელშიც მამუკა გორგოძე სეზონის საუკეთესო 6 ნომრად, მარცხენა ფლანკერად დასახელდა.

მართალია, ეს ყველაფერი წლის პირველ ნახევარში იყო, მაგრამ გორგოძე შემდეგაც ჩინებულად თამაშობდა და ახალ პრიზებს მომავალ წელს ელოდება.

– წლის საუკეთესო ქართველ მორაგბედ დაგასახელეს.

– მნიშვნელოვანი ჯილდოა ჩემთვის. საქართველოს ბევრი კარგი მორაგბე ჰყავს და მათ ფონზე საუკეთესოდ დასახელება, საამაყოა. უკვე მეექვსედ დამასახელეს წლის საუკეთესო მორაგბედ და ყოველი აღიარება დამატებით მოტივაციას მაძლევს, რომ შემდეგ წელს იმედი გავამართლო და კიდევ უფრო უკეთესად ვითამაშო.

– წელს საუკეთესოდ არამარტო საქართველოში დაგასახელეს. „მიდი ოლიმპიკმა“ საუკეთესო ფლანკერად დაგასახელა და ქომაგებისგანაც უმაღლესი შეფასება მიიღე. „მიდი ოლიმპიკის“ სიმბოლურში 3 ქართველი მოხვდით.

– არ ვიცი, ამაზე რა ვთქვა. ქომაგს თავისი აზრი აქვს და ხშირად ობიექტურიც. ზუსტად ვიცი, ამ გამოკითხვაში მაღალი პროცენტით რატომ გავუსწარით ყველას. სულელი უნდა იყო, ვერ მიხვდე, რომ ამ საქმეში ქართველი ქომაგების „ხელი ურევია“. შესაძლებელია, რომ არა ისინი, დაბალი პროცენტით გაგვესწრო სხვებისთვის, მაგრამ ქართველმა გულშემატკივარმა თავისი საქმე იცის! მიუხედავად ყველაფრისა, გამოკითხვაში კანდიდატებად დასახელებას ნამდვილად ვიმსახურებდით და ესეც არ არის პატარა საქმე. ძალიან გამიხარდა, სიმბოლურ ნაკრებში რომ მოვხვდი, ამან სტიმული მომცა. სხვათა შორის, არც საფრანგეთში არიან ჩვენ მიმართ ცუდად განწყობილნი, მხარს ისინიც გვიჭერენ. ამაყი ხასიათი მაქვს, მაგრამ რასაც ვაღწევ, მხოლოდ შრომით. მით უფრო, რომ ჩემს პოზიციაზე ძალიან ბევრი მაგარი მორაგბეა და ახალგაზრდებიც სულ მოდიან და მოდიან.

– სანამ სანაკრებო თემაზე გადავიდოდეთ, ახალგაზრდები ახსენე და 20-წლამდელების შესახებ რას გვეტყვით?

– ვფიქრობ, რომ ჩვენს ახალგაზრდულ ნაკრებში ძალიან მაგარი ბიჭები თამაშობენ. მიხარია, რომ პირველი ნაკრებისთვის ასეთი კარგი შევსება მოდის. მიმაჩნია, რომ ისინი მზად არიან, ნელ-ნელა დაიწყონ ნაკრებში თამაში. ძალიან დიდი კონკურენცია იქნება მესამე ხაზში, რაც დიდად მახარებს. რა წამს დავინახავ, რომ ისე ვეღარ ვარ, როგორც საჭიროა და ვინმე უკეთესია, უმალ დავუთმობ გზას. პირველი და მესამე ხაზი უმაღლესი დონის გვეყოლება, ცოტა მეორე ხაზში გვიჭირს. თუმცა, თუ გამოჩნდნენ მაღალი ბიჭები, ნელ-ნელა იქაც გაუმჯობესდება მდგომარეობა.

– ბორჯღალოსნებმა ოკეანეთის წარმატებული ტურნეს შემდეგ ნოემბრის ტესტებში ისეთი შედეგი ვეღარ აჩვენეს, რასაც გულშემატკივრები ელოდნენ.

– ოკეანეთის ტურნეს მსგავს შედეგს ვერც ვინატრებდით! მაგ დროს ტულონი პლეიოფს თამაშობდა და როგორც სპორტსმენი, სულ მზადყოფნაში უნდა ვყოფილიყავი, არ შეიძლება ძილის გატეხა, ამიტომ ვერც ერთ თამაშს ვერ ვუყურე. თუმცა, გავიღვიძე ერთ დილას და სამოასთან ფრედ დასრულებული მატჩი დამხვდა; გავიღვიძე მეორე დილას და ლევან ჩილაჩავას შეტყობინება დამხვდა ტელეფონზე – ნახე, ბიჭებმა ტონგასთან როგორ დაგლიჯესო; მესამე დილას გავიღვიძე და სულ გადავირიე – ფიჯისთან დამაჯერებლად მოგვიგია! ცხადია, ყველას გულით გვიხარია ეს წარმატება, მაგრამ მაინც მგონია, რომ ეს გუნდები, სამოა, ფიჯი და ტონგა, ჩვენთან თამაშისას ჯერ კიდევ ფავორიტები არიან. რა თქმა უნდა, მათთან წაგებას არავინ აპირებს და როგორც ყველასთან, რა შემადგენლობითაც არ უნდა ვითამაშოთ, მოსაგებად გავალთ.

ნოემბრის ტესტებზე რა უნდა ვთქვა: გულშემატკივარი ისე მიეჩვია ჩვენგან მოგებას, რომ ყველგან ფავორიტები ვგონივართ. არადა, ასე არ არის. ნოემბერში ძალიან ძლიერ მეტოქეებთან გვქონდა თამაში. ყველამ ნახა, იაპონიამ ინგლისში რა ფურორი მოახდინა. ფაქტობრივად მათმა თამაშმა მსოფლიო თასზე ჩვენი წარმატება გადაფარა. მატჩამდეც ვამბობდი, რომ მათი დამარცხება გარანტირებული არ იყო. სამოა ჩვენთან სათამაშოდ კარგად მომზადებული ჩამოვიდა, რადგან ზერელედ აღარ გვიყურებდნენ. ჩვენთან ფავორიტები იყვნენ, მაგრამ უკვე კარგად ვიცით, მათ რა უნდა დავუპირისპიროთ, ამიტომაც მოვიგეთ.

შოტლანდია სულ სხვა დონეა. კლასით ორივე გუნდზე ბევრად უფრო ძლიერია. სტუმრად ვითამაშეთ, რამაც კიდევ უფრო გაგვირთულა საქმე. ამასთან, ასეთი შოტლანდია უკვე სტაჟიან გულშემატკივრებს არ ახსოვთ. მიუხედავად ამისა, მეორე ტაიმი ტოლ-სწორად ვეთამაშეთ, მაგრამ პირველ ტაიმში დაშვებული შეცდომები ვეღარ გამოვასწორეთ.

– დავუბრუნდეთ საკლუბო კარიერას: ტულონის და ტოპ 14-ის ფინალის შესახებ გვიამბეთ, რომელიც თქვენმა გუნდმა კაცნაკლულ რასინგთან ვერ მოიგო. რა იყო ამის მიზეზი?

– დღემდე ვერ ამიხსნია. მეტოქის ერთ-ერთ წამყვან მორაგბეს არბიტრმა წითელი ბარათი უჩვენა და პარიზელები 14 დარჩნენ მოედანზე. ეტყობა, ჩემმა თანაგუნდელებმა იფიქრეს, რომ თამაში უკვე მოგებულიაო. ლელო, რომ დავდე, კაპიტანთან მივედი და ვუთხარი, ჯერ არაფერი დამთავრებულა, თამაში კიდევ მოსაგებია-მეთქი. მართალი რომ გითხრათ, მაგ თამაშის წაგება უფრო ძნელი იყო, ვიდრე მოგება. წარმოუდგენელია, მაგრამ ტულონმა ვერ დაამარცხა კაცნაკლული მეტოქე.

– თამაში ნოუ კამპზე ჩატარდა – ევროპის ერთ-ერთ ყველაზე დიდ და ლამაზ სტადიონზე.

– შესანიშნავი სტადიონია. ისეთი აურაა, სანამ მოედანზე გახვალ, უკვე მზად ხარ ითამაშო. გასახდელიდან კიბეებზე რომ ჩადიხარ, მოედანზე გასვლამდე პატარა ეკლესიაა. იქ რასინგის პრეზიდენტი დამხვდა, ლოცულობდა. ჩემსკენ ზურგით იდგა და ისე იყო გართული ლოცვით, რომ არც შევუმჩნევივარ. სწორედ მაშინ ვიფიქრე, ღმერთმა საჩუქარი არ გაუკეთოს და არ მოაგებინოს-მეთქი.

დრექსლერი პსჟ-ს ფეხბურთელი გახდა

ახალი წელი დაიწყო და სატრანსფერო ბაზარზე ჯერჯერობით ყველაზე ხმაურიანი ტრანსფერიც განხორციელდა – ფრანგულმა პარი სენ ჟერმენმა გერმანიის ეროვნული ნაკრების ნახევარმცველ იულიან დრაქსლერთან გააფორმა კონტრაქტი. კლუბის ვებგვერდის ცნობით, 23 წლის ფეხბურთელი პარიზელთა ღირსებას 2021 წლამდე დაიცავს.

იულიან დრაქსლერი:

– დიდი სიხარულით და მოლოდინით ვუერთდები პსჟ-ს. კარიერაში პირველად მომიწევს ახალ ქვეყანაში და ახალ ლიგაში თამაში. ვამაყობ ამ ნაბიჯით და ყველაფერს გავაკეთებ, რომ გუნდს ტიტულების მოპოვებაში დავეხმარო.

შეგახსენებთ, რომ დრაქსლერი ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში ვოლფსბურგში თამაშობდა, მანამდე კი შალკეს ღირსებას იცავდა. იულიანს 2012 წლიდან იწვევენ გერმანიის ნაკრებში და ამ დრომდე მის აქტივში ეროვნული გუნდის მაისურით ჩატარებული 27 მატჩი და 3 გოლია. ახალგაზრდა ფეხბურთელმა 2014 წელს ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

პსჟ-მ დრექსლერი კი შეიძინა, მაგრამ დიდი შანსია მარკო ვერატი დაკარგოს. საქმე ის არის, რომ მადრიდის რეალის პრეზიდენტი, ფლორენტინო პერესი იტალიელი ფეხბურთელის დავიწყებას ვერ ახერხებს – ფლორენტინოს ვერატის თამაში ძალიან მოსწონს.

ესპანურ გამოცემებზე დაყრდნობით, რეალი პსჟ-ს კიდევ ერთხელ მიმართავს. თუმცა, მადრიდელებს ამ საქმეში კონკურენტიც ჰყავთ – ვერატიზე პრეტენზიას ტურინის იუვენტუსიც აცხადებს.

ინგლისურ და ესპანურ გამოცემებზე დაყრდნობით, ფლორენტინო პერესი ასევე ინტერესდება ტოტენჰემის ფეხბურთელის დელე ალის შეძენით, რომელიც პრემიერლიგაში შესანიშნავად შთაბეჭდილებას ტოვებს და არაერთი გრანდის ყურადღებას იპყრობს.

ჯერჯერობით უცნობია ფინანსური დეტალები, მაგრამ პერესი ტრანსფერზე აქტიურად მუშაობას გეგმავს.

ბარსელონას ყურადღების ქვეშ კი, ამსტერდამის აიაქსის ცენტრალური მცველი დავინსონ სანჩესი მოექცა. კატალონიური კლუბის სკაუტები კოლუმბიის ნაკრების 20 წლის ფეხბურთელს გრძელვადიან სატრანსფერო მიზნად განიხილავენ.

გასულ ზაფხულში ბარსელონამ ატლეტიკო ნასიონალთან სანჩესის ტრანსფერის თაობაზე მოლაპარაკებას მიაღწია, მაგრამ თავად ფეხბურთელმა „ბლაუგრანას“ სარეზერვო გუნდში გადასვლაზე უარი განაცხადა.

მიმდინარე სეზონში ჰოლანდიის ჩემპიონატში სანჩესმა 16 მატჩი ჩაატარა, სადაც 3 გოლითა და 1 შედეგიანი გადაცემით გამოიჩინა თავი.

მანჩესტერ იუნაიტედის თავკაცი ჟოზე მოურინიო კი ლასანა დიარას შეძენას გეგმავს. მარსელის ნახევარმცველს პორტუგალიელ მწვრთნელთან ერთად უკვე უმუშავია ჩელსისა და რეალში. აქედან გამომდინარე, ისინი კარგად იცნობენ ერთმანეთის შესაძლებლობებს.

დიარა 2012 წელს „ბერნაბეუს“ დატოვებისა და მახაჩყალის ანჟიში გადასვლის შემდეგ ითვლება სხვადასხვა კლუბის სატრანსფერო სამიზნედ.

2014 წელს კი დიარა მოსკოვის ლოკომოტივის საკუთრება იყო, სადაც ფიფამ 8.5 მილიონი გირვანქა სტერლინგით დააჯარიმა, რადგანაც ფრანგი კონტრაქტის პირობებს არღვევდა და ვარჯიშზე უარს აცხადებდა.

სამაგიეროდ, მანჩესტერ იუნაიტედმა უარით გაისტუმრა ევერტონი, რომლისგანაც შეთავაზება მორგან შნეიდერლინის თაობაზე მიიღო.

საქმე ის არის, რომ ფრანგი ნახევარმცველი „ოლდ ტრაფორდზე“ თავის დამკვიდრებას ვერ ახერხებს და ჟოზე მოურინიომ განაცხადა, რომ თავის გეგმებში შნეიდერლინის ადგილს ვერ ხედავს. შედეგად, 27 წლის ფეხბურთელს კლუბის დატოვების ნება დართეს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი იუნაიტედი 24 მილიონ გირვანქას აიღებს. ევერტონმა კი 19 მილიონი შესთავზა.

ლაციოს მცველმა, სტეფან დე ვრეიმ კარიერა, შესაძლოა, გერმანიაში ან ინგლისში გააგრძელოს.

24 წლის ფეხბურთელმა, რომლითაც ბაიერნი და ჩელსი არიან დაინტერესებულნი, კონტრაქტის გახანგრძლივებაზე უარი თქვა, რომელიც 2018 წლის ზაფხულს იწურება.

ლაციო თანახმაა დე ვრეი 35 მილიონი ევროს სანაცვლოდ გაუშვას და ორივე დაინტერესებული კლუბი მზადაა რომაელების მოთხოვნები დააკმაყოფილონ.

გერმანული მედია წერს, რომ რეკორდმაისტერს შეუძლია ისეთი წინადადების შეთავაზება, რომ ფეხბურთელი შესაძლებელია ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის დროსაც კი გადავიდეს მიუნხენურ გრანდში.

მიმდინარე სეზონში ჰოლანდიელმა ცენტრალურმა მცველმა ლაციოს მაისურით 11 მატჩი ჩაატარა, სადაც 1 გოლით გამოირჩა.

მათე ცინცაძე კარიერას პოლონეთში გააგრძელებს

თბილისის დინამოს ნახევარმცველი, მათე ცინცაძე კარიერას პოლონეთის ჩემპიონატში გააგრძელებს. ინფორმაციას პოლონური პოგონის ვებგვერდი ავრცელებს და როგორც ირკვევა, ქართველმა ნახევარმცველმა გუნდთან 3.5-წლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი.

ცინცაძემ ქართულ ყველაზე ტიტულოვან გუნდში 3 წელი გაატარა. ის 179 სანტიმეტრი და 73 კილოგრამია. ჩვენებური პოგონში 8-ნომრიანი მაისურით ითამაშებს.

პოგონი პოლონურ ექსტრაკლასას სატურნირო ცხრილში 26 ქულით მე-7 ადგილზეა.

შედეგები

3 იანვარი

ფეხბურთი

ინგლისი. ჩემპიონშიპი

ბორნმუთი-არსენალი 3:3
კრ.პალასი-სუონსი 1:2
სტოკი-უოტფორდი 2:0

საუკეთესო ცხრილი:

1.ჩელსი	19	16	1	2	42-13	49
2.ლივერპული	20	13	5	2	48-23	44
3.სიტი	20	13	3	4	41-22	42
4.არსენალი	20	12	5	3	44-22	41
5.ტოტენჰემი	19	11	6	2	37-14	39
6.მანჩესტერი	20	11	6	3	31-19	39
7.ევერტონი	20	8	6	6	28-23	30
8.ვესტ ბრომვიჩი	20	8	5	7	28-24	29
9.ბორნმუთი	20	7	4	9	29-34	25
10.საუთჰემპტონი	20	6	6	8	19-25	24
11.სტოკი	20	6	6	8	24-32	24
12.ბარნლი	20	7	2	11	22-31	23
13.ვესტ ჰემი	20	6	4	10	23-35	22
14.უოტფორდი	20	6	4	10	23-36	22
15.ლესტერი	20	5	6	9	24-31	21
16.მიდლსბრო	20	4	7	9	17-22	19
17.კრ.პალასი	20	4	4	12	30-37	16
18.სანდერლენდი	20	4	3	13	19-37	15
19.სუონსი	20	4	3	13	23-45	15
20.ჰალი	20	3	4	13	17-44	13

ესპანეთი. სამეფო თასი

ვალენსია-სელტა 1:4
ოსასუნა-ეიბარი 0:3
დეპორტივო-ალავესი 2:2
ლას პალმასი-ატლეტიკო 0:2

საბეჭდნეთი. სუპერიგა

ირაკლისი-ქსანთი 0:1
ლევადიაკოსი-პაოკი 0:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

სპორტი

ლეო მესის 10 მიზანი 2017 წელს

ბარსელონას არგენტინელი ლიდერი ლიონელ მესი რეკორდების დამხობისკენ მიდრეკილი ადამიანია. ამის გამო, კატალონიურმა კლუბმა, 2017 წლისთვის, მას 10 მიზანი დაუსახა.

1. 500 გოლი ბარსელონას მაისურით

მესის, ბარსელონას მაისურით, ოფიციალურ მატჩებში, 476 გოლი აქვს გატანილი. ამ ნიშნულის 500-მდე ასაწევად მას 24 გოლი სჭირდება.

2. 100 გოლი ჩემპიონთა ლიგა

მთავარ საკლუბო ევროტურნირებზე მესის ანგარიშზე 93 გოლია. კიდევ 7 ზუსტი დარტყმა და არგენტინელს ამ ტურნირზე 100 გოლი დაუგროვდება.

3. 600 თამაში

მესის, ბარსელონას პირველი გუნდის რიგებში, 551 შეხვედრა აქვს ჩატარებული. მას შეუძლია 600-თამაშიან ნიშნულს უკვე 2017 წელს მიაღწიოს.

4. ჩემპიონთა თასი

ჩემპიონთა ლიგა მესის 4-ჯერ (2006, 2009, 2011 და 2015 წლებში) აქვს მოგებული. მაისში ამ ტურნირის მოგების შემთხვევაში, არგენტინელი თასს მეხუთედ დაეუფლება.

5. საუკეთესო ბომბარდირი

ლეოს, ბარსელონას მაისურით, 476 ბურთი აქვს გატანილი. ერთი კლუბის მაისურით გატანილი გოლების მხრივ ევროპული რეკორდი გერდ მიულერს ეკუთვნის, რომელმაც ბაიერნის რიგებში თავი 525-ჯერ გამოიჩინა. მესი გერმანელის რეკორდს ემუქრება.

6. ლას პალმასის გამოწვევა

მესის, ლა ლიგაში მოთამაშე გუნდთაგან, გოლი ყველას კარში გაუტანია, ლას პალმასის გარდა. მას ამ დანაკლისის შევსების შანსი 14 იანვარს, „კამპ ნოუზე“ გასამართ მატჩში ექნება.

7. 100 გოლი უცხოურ გუნდებთან

არგენტინელს, არაესპანური კლუბების წინააღმდეგ, 97 გოლი აქვს გატანილი. 2017 წელს ის ამ მაჩვენებელს 100-მდე გაზრდის. მესის ამის შანსი თებერვალში, პარი სენ ჟერმენთან გასამართ მატჩში მიეცემა.

8. ანგარიშის გახსნა

ლა ლიგის მატჩებში, მესის პირველი გოლი 71-ჯერ აქვს გატანილი. ამ მხრივ რეკორდი (76 გოლი) უგო სანჩესს ეკუთვნის.

9. 400 მოგება

მესის, ბარსელონასთან ერთად, 551 თამაშში, 390 მოგება დაუგროვდა. კიდევ 10 წარმატებული თამაში და არგენტინელის გამარჯვებები 400-ს გაუტოლდება.

10. 500 თამაში სასტარტოში

სასტარტო თერთმეტეულში კიდევ 16 გამოჩენა და ლეოს, ბარსელონას რიგებში, ძირითად შემადგენლობაში 500 თამაში ექნება ჩატარებული.

რობენმა რეალიდან წასვლის მიზეზი ახსნა

ბაიერნის ვინგერმა არიენ რობენმა ერთ-ერთი ინტერვიუს დროს მადრიდის რეალიდან 2009 წელს წამოსვლის მიზეზი გაიხსენა.

არიენ რობენი:

– ცოტა უცნაური ზაფხული იყო: ფლორენტინო პერესი კლუბის პრეზიდენტის პოსტზე დაბრუნდა და გუნდშიც ახალი ფეხბურთელები მოვიდნენ. რონალდუ, კაკა, ბენზემა და ალონსო მადრიდში დიდი თანხების სანაცვლოდ გადმოვიდნენ. მითხრეს, რომ ჩემი გაყიდვით კლუბი თანხას გამომუშავებდა. თავიდან არ მინდოდა მადრიდიდან წასვლა, რადგან ალბათ კარიერაში საუკეთესო წინა სასეზონო მომზადება გავიარე, მაგრამ შანსი არ მომეცა, ამიტომ გადაწყვეტილების მიღება მომიწია. ბაიერნთან იყო კონტაქტები, მაგრამ ეს გადაწყვეტილება მეტად რთული გამოდგა, ყველაზე რთულიც კი ჩემს ცხოვრებაში. იმ მომენტში ბავარიული კლუბი ევროპულ ელიტაში არ შედიოდა, ეს კი ჩემთვის უკან გადადგმული ნაბიჯი იყო. საბოლოოდ მიუხხენში გადავედი, რადგან ბავარიულმა კლუბმა ყველაფერი გააკეთა ამისთვის, რა თქმა უნდა, ლუი ვან გაალმა დიდი როლი ითამაშა მაშინ. ახლა მე ბავარიელი ვარ. ჩემს მე-8 სეზონს ვატარებ აქ და კლუბის ნაწილი გავხდი.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

კალეიდოსკოპი

ახალ ზელანდიაში ბიზნესმენმა მევალეს კაფე სიბინძურით აუვსო

ახალი ზელანდიის ქალაქ ოკლენდში ბიზნესმენმა მისი მოვალის კაფეს შესასვლელში 40 ტონამდე სიბინძურე დაახვავა.

ბარი ჰარტი ორ კომპანიას ხელმძღვანელობს, რომლებიც მიწის სამუშაოების შესრულებითა და ტვირთების გადაზიდვით არიან დაკავებული. ჰარტი ამტკიცებს, რომ კაფემ მას და მის პარტნიორებს არ აუნაზღაურა მათი მომსახურების, კერძოდ, ძველი ნაგებობის დემონტაჟისა და კანალიზაციის გაყვანის საფასური. კაფეს დავალიანებამ 88 ათასი ახალზელანდიური დოლარი (დაახლოებით 60 ათასი ამერიკული დოლარი) შეადგინა.

ნოემბრის შუა რიცხვებში ჰარტმა უკანასკნელად შეახსენა დაწესებულების მფლობელს, რომ ვალს გადახდა უნდოდა, მაგრამ ფული ისევ არ მიუღია. ექვსი კვირის შემდეგ მან კაფეს ოთხი თვითმცლელით ცუდი სუნის მქონე მასა გაუგზავნა. გარდა ამისა, ჰარტი კაფეს მფლობელს დაჰპირდა, რომ დაწესებულების ქვეშ გაყვანილი კანალიზაციის მილების დემონტაჟს განახორციელებს, ხოლო თუ არც ეს იმოქმედებს, მაშინ სიბინძურით მის მომარაგებას გააგრძელებს.

სამხრეთ აფრიკაში მოზარდი ყველაზე შხამიანი გველის დაგესვლას გადაურჩა



სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში დასვენების დროს 12 წლის მოზარდი მოზამბიკური კობრის მიერ დაგესვლის შემდეგ ცოცხალი გადარჩა.

ჯეიკ ტეილორი ოჯახთან და მეგობრებთან ერთად კვაზულუ-ნატალის პროვინციაში იმყოფებოდა. ბავშვის დედის თქმით, კობრამ მას ძილის დროს უკბინა.

– მას მხარში ტკივილის გამო გამოეღვიძა. თვალების გახელის შემდეგ ჯეკმა ხელზე შემოხვეული კობრა დაინახა. კიდევ კარგი, რომ ინსტინქტმა იმოქმედა და მან გველი საწოლიდან მიწაზე გადმოაგდო, – განაცხადა დაზარალებული მოზარდის დედამ.

ტეილორი ერთ-ერთ ადგილობრივ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ყმაწვილს სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს. აღსანიშნავია, რომ გველმა ბიჭს ერთი კბილი ჩაასო. მიუხედავად მისი მდგომარეობის გაუმჯობესებისა, ექიმებს კიდევ რამდენიმე დღე დასჭირდებათ, რათა ორგანიზმისთვის გველის კბენის შესაძლო დამღუპველი შედეგები დაადგინონ.

ინგლისში რეზინის იხვების რბოლა გაიმართა

ინგლისის სოფელ ბიბერში ტრადიციული რეზინის რბოლა გაიმართა. ყოველწლიურ შეჯიბრზე დასასწრებად ათასობით მაყურებელმა მოიყარა თავი. ისინი მდინარის გასწვრივ, რომელიც სოფელში მიედინება, ხიდზე განლაგდნენ. სწორედ ხიდიდან იწყება იხვების გაცურვა.

რბოლის პირველ ეტაპზე წყალში 150 იხვის ფიტული ჩაუშვეს, რომელსაც ჩვეულებრივ გარეული იხვების სატყუარად იყენებენ. ღონისძიების მონაწილეებს 10 ფუნტ სტერლინგად შეეძლოთ ფსონი ერთ-ერთ მათგანზე დაედოთ. მას, ვისმა ფიტულმაც პირველმა მიაღწია ფინიშის ხაზს, უფლება მისცეს, ამოერჩია ის საქველმოქმედო ორგანიზაცია, რომელსაც შეგროვილი თანხა შემოწირულობის სახით გადაეცემოდა.

ამის შემდეგ კი მდინარეში ორი ათასამდე ყვითელი რეზინის იხვი ჩაუშვეს. ამ ეტაპზე ფსონი მხოლოდ ერთ ფუნტს შეადგენდა. პრიზი მიიღეს იმ 20 იხვის სპონსორებმა, რომლებმაც დისტანცია ყველაზე სწრაფად დაძლიეს და ასევე იმ ადამიანმა, რომელმაც ფსონი იმ იხვზე დადო, რომელიც ფინიშის ხაზთან ბოლო მიცურდა.

შერიფმა შობის პატივსაცემად ჯარიმების ნაცვლად ხახვი დაარიგა

ამერიკის ფლორიდის შტატის ერთ-ერთი ოლქის შერიფი შობის დღესასწაულთან დაკავშირებით საგზაო მოძრაობის წესების დამრღვევებს ჯარიმების სანაცვლოდ ხახვის თავებს ურიგებდა.

შერიფი ლუ კაპუტო სამორიგეოდ ქალაქ მარაფონის დაწყებით სკოლასთან გრინჩის კოსტიუმში გამოწყობილი გამოვიდა. დღის ბოლომდე მან თხუთმეტამდე მძღოლი გააჩერა სიჩქარის გადაჭარბებისთვის და ყოველ მათგანს შესთავაზა აერჩიათ: ჯარიმა თუ ხახვი. დამრღვევთა უმრავლესობამ ბოსტნეულის სასარგებლოდ გააკეთა არჩევანი.

აღსანიშნავია, რომ კაპუტოსთვის გრინჩის კოსტუმში საშობაო მორიგეობა ერთგვარ ტრადიციად იქცა. ის ამას 2000 წლიდან აკეთებს, როდესაც ეკრანებზე გამოვიდა კომედია „გრინჩი – შობის გამტაცებელი“, მთავარ როლში ჯიმ კერი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

5 იანვრისათვის

ვერძი – თავი ხელში აიყვანეთ და უარყოფითი ემოციები მოთოკეთ. წარსული წყენა სამუდამოდ დაივიწყეთ. **კურო** – შემოქმედებითი აქტივობა იზრდება. გიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა. **ტყუპები** – დღის დევიზია შრომისმოყვარეობა და კეთილსინდისიერება. ფინანსური მდგომარეობა მკვეთრად გიუმჯობესდებათ. **კირჩხიბი** – დათრგუნეთ სიამაყე და ეგოიზმი. ეცადეთ, თავი სხვის ადგილას დააყენოთ. ასე სწორი გადაწყვეტილების მიღება არ გაგიჭირდებათ. **ლომი** – საყიდლებზე წასვლას ნუ იჩქარებთ. აპათია გიპყრობთ, ამიტომ მაქსიმალურად დაკავდით საქმით. **ქალწული** – შრომის ნაყოფიერება საგრძნობლად იზრდება. ენერგეტიკული აღმავლობის დღეა. სასიამოვნო ახალ ამბავს შეიტყობთ. **სასწორი** – რადაც არ უნდა დაგიჯდეთ, საკუთარ პრინციპებს არ უღალატოთ. საქმე მოთმინებით აკეთეთ. **ღრიანკალი** – დღევანდელი დღე საოჯახო საქმეების მოწესრიგებას დაუთმეთ. გათავისუფლდით უსარგებლო ნივთებისაგან. ეს ადამიანურ ურთიერთობებსაც ეხება. **მშვილდოსანი** – ნუ იქნებით კატეგორიული. მეტი თავშეკავება, სირბილე და დათმობაა საჭირო. **თხის რქა** – ეს დღე საინტერესო ნაცნობობას გიმზადებთ. იზრუნეთ საკუთარი პროფესიონალიზმის სრულყოფაზე. **მერწყული** – ვარსკვლავები გმფარველობენ. ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. მშვიდი დღეა. **თევზები** – კოლეგებთან ურთიერთობა გეძაბებათ. ერიდეთ კონფლიქტსა და საქმის გარჩევას.

გისუჩვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ბრიტანეთის ნაწილი; 2. ძალიან ლამაზი ბაღი; 3. სპორტული სარბოლო მანქანა; 4. ესპანური სპორტული გაზეთი; 5. სტეპის ზონის სახელწოდება აშშ-ში; 11. პათოსით წარმოთქმული გრძელი ფრაზა; 12. შტატი აშშ-ში; 14. მოთელილი მატყლისგან დამზადებული სქელი ქსოვილი; 16. სამარკო და საკოლექციო ღვინოების საცავი; 17. ვაჭრობის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 19. კვიპროსის დედაქალაქი; 21. მე-16 საუკუნის ქართველი ოქრომჭედელი; 22. ჩქარტემპიანი ჩეხური ცეკვა.

თარაზულად: 6. მდინარე აშშ-ში; 7. ელექტრონული ძრავის უძრავი ნაწილი; 8. ფრანგი მოდელიორი; 9. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 10. დეპუტატთა გასამრჯელო მეფისდროინდელი რუსეთის პარლამენტში; 13. ძველებური კაჟიანი თოფი; 15. ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ქართველი მოჭიდავე; 18. ფრანგი მოდელიორი; 20. უბანი თბილისში; 21. ხოხბისნაირთა ოჯახის ფრინველი; 23. საფრანგეთის ეროვნული ჰიმნი; 24. სამურაების მეთაური.

შეადგინა თ.კობალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ბაშო; 2. მეოხი; 3. კოიოტი; 5. დიეტა; 6. ნომინალი; 8. ყარაჩოღელი; 10. ალფონსი; 12. ალგებრა; 14. ბოლიდი; 15. ღიღინი; 16. ანეტო.

თარაზულად: 1. ბოჰემია; 4. ედისონი; 7. ჩხოუში; 9. ტონაჟი; 11. არქიელი; 12. ალკოჰოლი; 13. ბოტეგა; 17. აბორტი; 18. პელე; 19. არმანიაკი; 20. ფიტოფაგი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. დეკადანსი; 2. ბოსფორი; 3. ბილბაო; 4. სალდო; 5. ოლანდი; 11. ლეკალო; 12. ლაგაზი; 14. რუხი; 16. რანჩერო; 17. ოჯალეში; 19. რემისია; 21. ჩორთი; 22. სუომი.

თარაზულად: 6. სელადონი; 7. ათანელი; 8. დაფნე; 9. ადაჟიო; 10. ალილო; 13. ისტრი; 15. ტრაფალგარი; 18. კობზარი; 21. ჩიზელი; 23. კომპრომისი; 24. შუამთა.

პანტომიმის თეატრმა ლაივ სპექტაკლი ფეისბუქში გამართა

საქართველოს პანტომიმის სახელმწიფო თეატრმა ქართულ ისტორიაში პირველად, სოციალურ ქსელში ლაივ სპექტაკლი გამართა.

– ასეთი პრემიერა ჯერ არ ყოფილა. შოუ ცარიელ დარბაზში, მაყურებელი შენ ხარ! თუ შენ ვერ მოდიხარ პანტომიმის თეატრში, მაშინ პანტომიმის თეატრი მოვა შენთან! – ასეთი მოწოდებით მოამზადეს სპეციალური სპექტაკლი პანტომიმის თეატრის მსახიობებმა და მაყურებელს სრულიად ახლებური, უპრეცედენტო სპექტაკლი შესთავაზეს.

შოუ ამირან შალიკაშვილი ჯუნიორმა დადგა. სპექტაკლის ნახვა უფასოდ შეეძლო ყველას ყველგან და ნებისმიერ სიტუაციაში, ქუჩაში თუ სახლში.

პანტომიმის თეატრის შოუს გარდა, მაყურებელმა ანუკა მურვანიძის გრიმის მასტერკლასიც პირდაპირ ეთერში იხილა.

ქართველი მიმების სიახლეს დიდი გამოხმაურება მოჰყვა და ის 4000-მდე მაყურებელმა ნახა.

ლოლიტა ცინცაძეს შეყვარებულმა სცენაზე ხელი სთხოვა

უკვე რამდენიმე კვირაა სატელევიზიო ეთერში კიდევ ერთი ახალი პროექტი „შენ შეგიძლია ცეკვა“ გამოჩნდა, რომლის ჟიურიც ზაკ რისის, ნათია რთველიაშვილის, სალომე ჭაჭუასა და დუტა სხირტლაძის შემადგენლობით, საუკეთესო კონკურსანტებს არჩევენ. პროექტის მონაწილეები კვირიდან კვირამდე მაყურებელთან შესახვედრად განსაკუთრებული საცეკვაო ნომრებით ემზადებიან და დაძაბულ ბრძოლაში ფინალისკენ მიიწევენ.

საუკეთესო კონკურსანტთა შორის აღმოჩნდა ბათუმელი ლოლიტა ცინცაძე, რომელმაც შესარჩევ ტურში შესრულებული პასოდობლეთი ჟიურის ოთხივე წევრი მოხიბლა და პროექტში მონაწილეობის შანსიც მოიპოვა.

ახალი წლის პირველივე საკონკურსო ტურში ლოლიტა აუთსაიდერი გახდა და ამ ტურში პროექტიც დატოვა, თუმცა მას შეყვარებულმა ერეკლე მაჭავარიანმა, ჟიურის ერთ-ერთმა წევრმა დუტა სხირტლაძემ და „ქართული ხმების“ ახალი თაობის მომღერლებმა სასიამოვნო სიურპრიზი მოუწყეს.

ლოლიტას დუტამ და „ქართულმა“ ხმებმა უმღერეს, მისმა რჩეულმა კი სცენაზე ვარდების ულამაზესი თაიგული და ბეჭედი მიართვა და საჯაროდ ხელი სთხოვა. ლოლიტა კი, როგორც მოსალოდნელი იყო, ერეკლეს თხოვნას დათანხმდა.

დათუნიკა სხირტლაძის ნანატრი შვილი დაკრძალვამდე ერთი საათით ადრე გაჩნდა

მომღერლისა და მოცეკვავის დათუნიკა სხირტლაძის ნანატრი შვილი მის დაკრძალვამდე ერთი საათით ადრე გაჩნდა. პატარა ვაჟკაცი გაგუას კლინიკაში დაიბადა. დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს. დათუნიკას შვილის ფოტო გაგუას კლინიკამ გამოაქვეყნა.

ეს სასიხარულო ინფორმაცია კი გიორგი უშიკიშვილმა გაავრცელა:

– ამდენი მწუხარების შემდეგ, ერთი კარგი ამბავი მოხდა. დათუნიკას გამოსვენებამდე ერთი საათით ადრე მისი ბიჭი დაიბადა. 60 წლის ხდებოდა დათუნიკა და ეს პირველი შვილია. ასე ელოდა მთელი ცხოვრება შვილს და ბავშვი მისივე დაკრძალვამდე ცოტა ხნით ადრე დაიბადა.

ხელოვანი რამდენიმე დღის წინ ამბროლაურში გამართული საახალწლო კონცერტის დროს სცენაზე გულის შეტევით გარდაიცვალა.

3 იანვარს დათუნიკა მისმა ოჯახის წევრებმა, კოლეგებმა, მეგობრებმა და გულშემატკივრებმა უკანასკნელ გზაზე გააცილეს.



თინა კანდელაკი მეუღლეს აღარ მალავს

მას შემდეგ, რაც ტელეწამყვანი თინა კანდელაკი მეუღლეს გაშორდა და ორ შვილთან ერთად ახალი ცხოვრება დაიწყო, მისი პირადი ცხოვრება კიდევ უფრო მეტად ამოიღეს მიზანში ჟურნალისტებმა.

რამდენიმე თვის წინ რუსული გამოცემები წერდნენ, რომ ტელეწამყვანი გათხოვდა და ქორწილიც საიდუმლოდ გადაიხადა. ჟურნალისტების მტკიცებით, თინამ არჩევანი ვასილი ბროვკოზე გააკეთა, რომელიც რუსეთში ძალიან ცნობილი და გავლენიანი მედიამენეჯერი და პროდიუსერია. ვასილი თინაზე 10 წლით უმცროსია.

მიუხედავად იმისა, რომ თინას ძალიან უყვარს სოციალური ქსელები და ვიდეოებსა თუ ჩანაწერებს ხშირად აქვეყნებს, პირადი ცხოვრება ინტერნეტში მისთვის ტაბუდადებულია. თუმცა ახალმა წელმა თინას გამბედაობა შემატა და ცნობისმოყვარეების ინტერესიც დააკმაყოფილა – ტელეწამყვანმა თავის მეუღლესთან ერთად გადაღებული ფოტოები ინტერნეტში განათავსა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

საგზაო პოლიციის ინფორმაცია

ნანა ქურდიანი – მადლის სიხარულით შემწირველი

დაიბადა 1957 წლის 18 ნოემბერს, გაიზარდა ქალაქ ფოთში. მშობლები – ალექსანდრე ქურდიანი და ალექსანდრა ბერაია.
1973 წელს დაამთავრა ფოთის №1 სკოლა.
1975 წელს ჩაირიცხა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე (კავკასიური ენები) და წარჩინებით დაამთავრა 1980 წელს;
შემდგომ – ასპირანტურა (სვანური ენა).

ამ მშრალ საანკეტო მონაცემებს აცისკროვნებს ჩვენი ნანა ქურდიანის საკვირველი თავმდაბლობით განვლილი ცხოვრების გზა, უფრო სწორად – მისი მართლაც ქრისტიანული არჩევანი: ემსახუროს ყველას, ვინც კი მის გვერდით აღმოჩნდება, ამასთან – ემსახუროს უსიტყვოდ, თითქმის შეუმჩნევლად. ამგვარი იყო მისი ყოველდღიურობა, რისი მოწმენიც, ღვთის წყალობით, ჩვენც – მუხიანის კერძო სკოლა-ლიცეუმ „გროს“ მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები აღმოვჩნდით.

ასპირანტურა ნანას არ დაუმთავრებია, რადგან აქაც მისი არჩევანი ამუშავდა: ნანა ქურდიანმა და ბერდია გუგავამ მშვენიერი ოჯახი შექმნეს და ნანასთვის ოჯახი გახდა უპირველესი. ამას გარდა, იმძლავრა მისმა შემოქმედებითმა ბუნებამ და ახლა შვილების ღირსეულად აღზრდის საქმეს მოჰკიდა ხელი. მაშინ, 90-იან წლებში, ნანას ბიჭები – ლექსო, ჯოკია და ლაშიკო – სკოლის მოსწავლეები იყვნენ და, როგორც თვითონ აღნიშნავდა, უწინარესად სწორედ მათთვის, მათი სასკოლო განათლების სათანადო წიაღის მოსაწყობად იზრუნა: 1995 წელს თბილისში, მუხიანში, დაფუძნდა კერძო სკოლა-ლიცეუმი „გრო“, რომლის დამფუძნებელიც (ბატონი ბერდია გუგავა), დირექტორიც (თავად ნანა) და ნანას მიერ ბრძნული გულისხმიერებით შერჩეული მასწავლებელთა ჯგუფიც – საქართველოს მომავალი თაობის აღზრდის საქმეს სიყვარულით შეუდგნენ.

დიახ, ნანამ საკუთარი შვილებისთვის იზრუნა, მაგრამ თავისი სკოლა-ლიცეუმით თავდადებით მოემსახურა და უპატრონა, თამამად შეიძლება ითქვას – გადაარჩინა ასეულობით ქართველი ბავშვი და ქართული ოჯახი მაშინ, როდესაც სასკოლო-საგანმანათლებლო საქმე საქართველოში, ფაქტობრივად, მოშლილი იყო. მოსწავლეებთან ერთად, ჩვენც, მასწავლებლებსაც გვერგო ნანას სიკეთე და შეწევნა, რადგან იმ „ყიამეთ“ 90-იან წლებში მართლაც ოაზისად გვექცა სკოლა-ლიცეუმი „გრო“, სადაც ზნეობრიობით გაჯერებული სწავლების პროცესი ნანას გამოუთქმელი ძალისხმევით იყო დამკვიდრებული.

რომელი ერთი გავიხსენოთ: ნანას განუმეორებელი ტაქტიკითა და ტაქტით „აშენებული“ ჯანსაღი, ქრისტიანული ურთიერთობა როგორც მასწავლებელსა და მოსწავლეს, ისე მასწავლებელსა და მშობელს შორის, უფრო კი – თავად მასწავლებლებს შორის; ნანა დირექტორის გამაოგნებელი თავმდაბლობა (საჭირო დროს დამლაგებლობასა თუ მებუფეტეობას რომ არ თაკილობდა), პიროვნულად გამოხატული გულშემატკივრობა და თანამონაწილეობა მასწავლებლის, მოსწავლისა და მშობლის ღხინსა თუ ჭირში (თანადგომა სიტყვით, საქმით თუ ფინანსურად...); სკოლის კეთილმოწყობისა თუ მასწავლებელთა ხელფასების დროულად გაცემისათვის „ბრძოლა“ (რის გამოც, ნანას ინიციატივით, არაერთგზის „დაზარალებულა“ ბატონი ბერდია გუგავას ოჯახის ბიუჯეტი...), და სხვა მისთანები...

ეს მცირე მოგონება ყოველივეს ვერ დაიტევს, მაგრამ ღმერთმა ხომ უწყის ნანას ხელიდან უშურველად გამოსული ყოველი სიკეთე და წყალობა, მოყვასისადმი სათნო სიყვარული, რომელსაც იგი სიხარულით გასცემდა, და რაც ჩვენმა ნანამ საცხოვნებელ საგზლად წარიტანა, რამეთუ: „მოწყალების გარეშე სასუფევლის კარამდე მიღწევაც კი შეუძლებელია“ (წმიდა იოანე ოქროპირი).

ჩვენო საყვარელო ნანა, ყოველი ჩვენგანი მადლიერებით იხრის თავს შენი ნათელი სულის წინაშე... ვმადლობთ უფალს, რომ გვერდით გვყავდი, ახლა კი შენი წმინდა ლოცვით კვლავაც იზრუნებ ჩვენთვის!..

სკოლა-ლიცეუმ „გროს“ მასწავლებლები

კიდევ ერთი მეგობარი დავკარგე...

2016 წლის პირველ დეკემბერს ნანა ქურდიანმა დაგვტოვა. წავიდა ნანა, რომელსაც უზომოდ უყვარდა ბუნება და ადამიანები, დიდ სიამოვნებას ანიჭებდა სიკეთისა და სიყვარულის მცირე გამოვლინებაც კი: „რა კარგი ადამიანია, რა კეთილშობილი ყოფილა“, – ხშირად ამბობდა სხვებზე, რადგან თვითონ იყო კეთილშობილი.

ნანა ქურდიანი იყო კარგი შვილი, კარგი მეუღლე, კარგი დედა, კარგი მეგობარი. მართლაც საოცარი ადამიანი იყო, რაღაც სხვანაირად ფაქიზი და დახვეწილი. დედ-მამა ყველას უყვარს, მაგრამ მას სხვაგვარი მზრუნველობა და სითბო ჰქონდა თავისი მშობლების მიმართ. სამი შესანიშნავი ვაჟკაცი გაზარდა. ახლაც ყურში ჩამესმის მისი საოცარი სითბოთი წარმოთქმული – „გენაცვალოს დედა...“ და ვხედავ მის ანთებულ თვალებს, დიდი სიყვარულით რომ შესცქეროდა თავის ცელქ ბიჭებს. ჰოდა, ნანა უპირველესად იყო დედა ამ კარგი ბიჭებისა – ლექსო, ჯოკია და ლაშა გუგავებისა, და 6 შვილიშვილის ბებია. დიდი სიყვარულიც გამოსცადა. ისე უყვარდა, ისეთი გრძნობით – წიგნებს რომ უძღვნიან ხოლმე.

ნანა პედაგოგის ოჯახში აღიზარდა და საოცარი ალღოთი და უნარით დააჯილდოვა უფალმა. თავისი საოცნებო სკოლა შექმნა, ისეთი, დღემდე რომ აქებენ, შენატრიან და ნანა ქურდიანის სკოლას უწოდებენ. ბავშვების ნაწერებით დიდად ხარობდა: „რა კარგად წერენ ეს ბავშვები, ვტკბები პირდაპირ, დიდი სიამოვნებით ვკითხულობო“, – ხშირად ამბობდა. თითქოს არც ღლიდა მომქანცველი სამუშაო.

გული სიკეთით და სიყვარულით ჰქონდა სავსე... ნანა მიყვარს და მენანება, ასე ნაადრევად რომ წავიდა. მე ის 41 წლის წინ გავიცანი. 41 წელი დიდი დროა! მაგრამ მე ჯერ ისევ იმ პატარა, ლამაზ უნივერსიტეტელ ნანას ვხედავ, ისეთი მახსოვს და მიყვარს!.. ის ყველას უყვარდა! მის ანთებულ, შუქიან თვალებს ყველა შეხაროდა. ჩვენმა მეგობარმა და თანაკურსელმა, ნაირა ცხვედიანმა, ადრეულ სტუდენტურ წლებში მშვენიერი ლექსი უძღვნა კიდეც ნანას.

მას სიმბოლოები უყვარდა!.. და ისიც სიმბოლურია, რომ ნანას, მეოცნებე საყვარელ გოგონას – „რომელსაც უყვარდა ბალახი და წვიმა“, წვიმიან საღამოს აუგეს წესი ღურჯ მონასტერში... აგერ, მე-40 დღეც მოახლოვდა – 9 იანვარი...

ნანა ქურდიანი საოცარი ოპტიმისტი იყო და მომავლის სჯეროდა. ნანას იმედიანი სიტყვა მოგვაკლდება, მაგრამ მისი გახსენება ნანასეული ოპტიმიზმით კვლავაც აღგვავსებს!

წმიდათა თანა განუსვენე, ქრისტე ღმერთო,
სულსა ახლად შესვენებულისა მხევლისა ღვთისასა –
ნ ა ნ ა ს ი!

ციცო (ნინო) კვანტალიანი

ძმები კახაბერ და არტემ (ბაჩა) აშორტიები ოჯახთან ერთად ღრმა მწუხარებით იუწყებიან ბიძის

იმედო პავლეს ძე პაპასქირის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს, ბატონი რეზო გოგოხიას ოჯახს სიმამრის

მეგონა ივანეს ძე ქარდავას

გარდაცვალების გამო.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

პროგრამა

5 იანვარი ხუთშაბათი

08.00 "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **09.00** მხ/ფ "**სანტას მეგობრები**" **10.30** ტ/სპექ. "**ერთი რამის სიყვარული**" **დაფარეა რომ სჭირდება**" **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.15** ქართული მხ/ფ "**უდიპლომო სასიძო**" **13.30** მხ/ფ "**სანტა კლაუსი-3**" **15.00** ქართული მოკ/ფ "**რეპორტიორი**" **16.20** მხ/ფ "**პრეზიდენტის**" (მ.დუგლასი) **18.30** ქართული მხ/ფ **20.30** ტ/სერ. "**ომი და მშვიდობა**" **21.30** მხ/ფ "**მარტივი სირთულეები**" (ა.ბოლდუინი) **23.30** კონცერტი. ნინო მაჩაიძე - საშობაო კონცერტი **01.10** მხ/ფ "**ორეანრობა**" (ჯ.რობერტსი) **03.10** მხ/ფ "**როდესაც პოლი გამოჩნდა**" (ჯ.ენისტონი)

08.00 ვენის სიმფონიური ორკესტრის საახალწლო კონცერტი. **09.00** დ/ფ "ჯეიმის სადღესასწაულო სუფრა" **10.00** მხ/ფ "**უფლისწული და მათხოვარი**" **11.30** მხ/ფ "**დიდი ვალსი**" **13.10** მხ/ფ "**ვეძებთ სანტას**" **14.35** ქართ. ტ/ფ "**სერენადა**" **15.00** "ბრიფინგის დრო" **15.20** გურამ ბზვანელის **80** წლისადმი მიძღვნილი საღამო. **17.00** დ/ფ "დიდებული სასახლეები" **17.25** დ/ფ "ჯეიმის საუკეთესო შობა" **18.15** მხ/ფ "**ბუუპეები**" **20.00** "მოამბე" **20.30** ირმა სოხაძის საღამო. **22.30** ქართ. მხ/ფ "**ცისფერი მთები. ანუ დაუჯერებელი ამბავი**" **00.00** "ნამდვილი დრო" **00.30** გია ყანჩელი

07.00, 16.00 სერ. "**თანხმობა**" **08.00** სერ. "**ოზის ალქაჯები**" **10.00** სერ. "**ერთი სიყვარულის ამბავი**" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.35** ქრონიკა **11.20** სერ. "**გონული**" **5-6** სერ. **14.40** სერ. "**ფიცი**" **17.35** სერ. "**პატარქალი**" **18.50, 19.03** სერ. "**მოპარული სხოვრება**" **2** სერ. **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** სერ. "**შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ-6**" **00.00** ქ.მხ/ფ "**პაიტა ნასოლი**" **01.50** მხ/ფ "**მოჩვენება**" **03.50** მხ/ფ "**სერენა**"

06.00 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **06.45** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **08.00** ანიმაცია " Winnie the Pooh" **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** ქ.მხ/ფ "**რაჭა, ჩემო სიყვარული**" **13.55** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**ცხოვრების გზები**" **18.50** სერ. "**ოქროს გალია**" **19.55** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **20.05** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **20.50** ლოტო **22.00** ქ.მხ/ფ "**ახალ ხელს დაკარგულები**" კონცერტი "გამოუვალი მდგომარეობა" **00.00, 03.30** მხ/ფ

08.00 ან/სერ. ვარსკვლავური ომები **09.00, 19.00** სერ. "**დოქტორი პაუსი**" **10.00, 18.00** სერ. "**სკანდალი**" **11.00** სერ. "**ქერქო პრაქტიკა**" **13.00** სერ. "**ჩიკაგოს მეხანძრეები**" **15.00** მხ/ფ "**ჯენტლმენთა თავგადასავები**" **17.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **20.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.30** მხ/ფ "**ერთხელ რომში**" **22.00** სერ. "**პოტენი**" **23.00** სერ. "**ინტერესის ობიექტი**" **00.00** მხ/ფ "**პარი პოტერი და სიკვდილის საჩუქრები**" პირველი ნაწ. **02.30** მხ/ფ "**პარი პოტერი და სიკვდილის საჩუქრები**" მეორე ნაწ.

06.40 პატერიკი-"**ულირსი მსახურების შესახებ**" **06.45** ეპოქა და ადამიანები "**მიხეილ ჯავახიშვილი**" **07.25** ქართული ალბომი **07.50** განთიადის სიუჟეტი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** "**განთიადი**" **10.10, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.40** ერთსულოვნების სალონი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ "**ბამოელქი ფანჯრები**" **13.30** "**შუადღე ერთსულოვნებაზე**" **14.00** გამოყენებითი ხელოვნება "**გობელენი**" **15.05** ღვთის სახლი **15.20** ქართული ან/ფ **15.30** ტრაპეზი "**მწვანე ლობიო ნიგვზით**" **15.50** კონცერტი **17.00** ქრისტიანული ხელოვნება "**ქართული წიგნის ყდის გაფორმება**" **17.35** ჩვენი ფონდი **18.10** "**განთიადის**" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მოკ. მხ/ფ "**უსახელო უფლისციხელი**" **20.40** დ/ფ "**თუ დაგივიწყო იერუსალამ...**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** ლექციები მეფეუტკრეობაზე **21.30** დიდ ხარ შენ უფალო..."**ეიოსების დაბადება**" I **22.20** ჩვენი საგანძური **22.40** ქრისტიანული სწავლება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.40** დეკორატიული ფლორა **00.25** ისტორიის დღიური **01.30** "**შუადღე ერთსულოვნებაზე**" (გამეორება)

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 1.30** "**კონტაქტი**" **7.30** ანიმაცია "**ბუშტუკები**" (ჟესტიკულაციით) **7.50** "**ქვიშის ზღაპარი**" **8.00** სერ. "**ალარმელიტა**" **10.00, 2.00** სერ. "**ორი გული**" **11.00** "**სიყვარულის იმპერია**" **12.00** "**კონტაქტი თორმეტზე**" **12.30** სერ. "**ჩემი ერთადერთი ცოდვა**" **13.30, 15.30** სერ. "**უკანასკნელი მაგიკიანი**" **15.00** "**კონტაქტი სამზე**" **16.00** სერ. "**მარისა**" **18.00** "**კონტაქტი ექვსზე**" **18.50** სერ. "**მორიგე ექიმი**" **19.55** "**დამზადებულია საქართველოში**" **20.00** "**კონტაქტი რვაზე**" **20.55** სერ. "**ბილანი თუ შეძლება**" **21.55** სერ. "**ბემი**" **22.40** სერ. "**უცხო**" **0.30** სერ. "**ჩემი ერთადერთი ცოდვა**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

5 იანვრისთვის

აშშ დოლარი — 2.6478	ევრო — 2.7553
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2549	100 რუსული რუბლი — 4.3634

ამინდის პროგნოზი 5 იანვრისთვის



20 დეკემბრიდან

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები



ემილ ზოლა
ქალთა ბედნიერება

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

22 დეკემბრიდან

ძმები გრიმები
წითელქუდა

მაგარი ყდა, 64 ფერადი გვერდი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

29 დეკემბრიდან

ჰანს კრისტიან ანდერსენი

პატარა სირინოზი



მაგარი ყდა, 64 ფერადი გვერდი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

გიგანტური პანდა ჩინელ მეცნიერს თავს დაესხა

ჩინეთის პროვინცია სიჩუანში დიდი პანდა თავს დაესხა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის თანამშრომელს, რომელსაც ორივე ხელი მოტეხა.

ინციდენტი პანდებისთვის განკუთვნილ სავარჯიშო ცენტრში მოხდა, რომელიც ტიანტაის მთებში მდებარეობს და სადაც ცხოველებს ველურ ბუნებაში ცხოვრებისთვის ამზადებენ.

16 წლის მდედრი პანდა სი მეი თავს სელექციონერ ვეი ხუას დაესხა, როდესაც ის ვოლიერში მისი ნაშიერის მოძებნას ცდილობდა. მამაკაცმა ტრავმები ხელებსა და ფეხებზე მიიღო. ამასთან, იმის გამო, რომ რადიოკავშირს პრობლემები შეექმნა, ბაზაზე დროულად ვერ შეიტყვეს ამ ინციდენტის შესახებ.

ამ დროისთვის ვეი ხუა საავადმყოფოში იმყოფება, სადაც მას ოპერაცია გაუკეთდა. მისი მდგომარეობა სტაბილურია. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ პანდას აგრესია საკუთარი ნაშიერის დაცვით იყო გამოწვეული, რომელიც ვოლიერის შორეულ კუთხეში იყო დამალული.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– სახლში ძაღლი მყავს. ადრე ძეხვს რომ ვიყიდიდი, ჯერ იმას დავუგდებდი და თუ შეჭამდა, მერე მეც ვჭამდი.

– ახლა, შეიცვალა რამე?

– ჰო, ახლა ის მელოდება, თუ მე შევჭამ, მერე ისიც იწყებს ჭამას.

•••

კაცს ასამართლებენ ცოლისა და სიდედრის ცემისთვის. მოსამართლე აცხადებს:

– თქვენ ჩადენილი დანაშაულისთვის დაგეკისრათ ჯარიმის გადახდა 1007 ლარის ოდენობით!

– კი მაგრამ, ბატონო მოსამართლევ, რატომ ასეთი უცნაური თანხა?

– 1000 ლარი ცემისთვის, ხოლო 7 ლარი სანახაობის გამართვის გადასახადია.

•••

უფროსი ხელქვეითს ეკითხება:

– ვინ უფრო სულელია, მე თუ შენ?

– ბატონო, ხომ საყოველთაოდ ცნობილია, რომ სულელებს სამუშაოზე არ იღებთ.

•••

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– იცი, ყოველ დილით ჩემი მეგობარი მამაკაცის კოცნა მაღვიძებს.

– მართლა?

– ჰო, ის ნაზად მკოცნის ტუჩებში, ლოყაზე, შუბლზე.

– ვაი, რა საყვარელია და მერე?

– მერე მეკითხება, უმშვენიერეს პრინცესად რატომ არ გადაიქცევი?

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– გაიგე, საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელს განუცხადებია, რომ მანამდე არ დატოვებს თანამდებობას, სანამ ჩვენ გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატს არ მოაგებინებს.

– რა, სიცოცხლის ბოლომდე გაუფორმეს კონტრაქტი?

•••

ტელეფონი რეკავს, ცოლი ყურმილის ასაღებად მივიდა. ქმარი ეუბნება:

– თუ მიკითხეს, სახლში არ ვარ.

– ალო, დიახ, არა, ქმარი სახლშია...

– ხომ გითხარი, რომ თუ მიკითხეს, სახლში არ ვარო...

– შენ არ გკითხულობდნენ...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.

27 დეკემბრიდან

გაიუს სვეტონიუს ტრანკვილუსი
თორმეტი კეისრის ცხოვრება

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი



ესტონელს ყვავმა პასპორტი მოპარა

ყვავმა პასპორტი მოპარა ესტონეთის მოქალაქეს, როდესაც ის რუსეთის საავტომობილო სასაზღვრო გამშვებ პუნქტთან იმყოფებოდა.

სატრანსპორტო საშუალების საბაჟო გაფორმების პროცედურის დროს ესტონეთის მოქალაქემ პასპორტი ამოიღო, მაგრამ ამ დროს მოფრინდა ყვავი და პასპორტი ხელიდან გამოსტაცა.

ინციდენტს შეესწრნენ საბაჟოს თანამდებობის პირები. ისინი შეეცადნენ მოქალაქეს დახმარებოდნენ. საქმეში კინოლოგებიც კი ჩაერთნენ ძაღლებით, თუმცა ყველა მცდელობა, დაეჭირათ ფრინველი, უშედეგოდ დასრულდა.

ბოლოს გამოიძახეს პოლიცია და პასპორტის დაკარგვასთან დაკავშირებით განცხადება დაიწერა. სათანადო საბუთების მიღების შემდეგ ესტონელმა სახლში დაბრუნება მოახერხა.

მისი პასპორტი კი ორი დღის შემდეგ აღმოაჩინეს. ყვავმა ის სასაზღვრო გამშვები პუნქტის მახლობლად გადააგდო. სამწუხაროდ, საბუთი გამოუსადეგარი გახდა, ვინაიდან ფრინველმა იქიდან ფურცლები ამოგლიჯა.

ბრიტანელებს საახალწლოდ სალათები შემოაკლდათ

ძლიერმა წვიმებმა და მისგან გამოწვეულმა წყალდიდობამ, რომელიც გასული წლის დეკემბერში თავს დაატყდა ესპანეთს, ბრიტანეთში სალათის უკმარისობა გამოიწვია.

ზამთარში დიდ ბრიტანეთს ახალი ბოსტნეულის 80 პროცენტი ესპანეთის სწორედ იმ რეგიონებიდან მიეწოდება, რომლებიც ყველაზე მეტად დაზარალდნენ სტიქიური უბედურებისგან.

წვიმების და წყალდიდობის გამო, მოსავალი მოსალოდნელზე 70 პროცენტით შემცირდა. გარდა ამისა, განადგურდა ის ნათესებიც, რომელთა მოსავალი თებერვლისა და მარტის თვისთვის უნდა მიეღოთ. ასე რომ, ბოსტნეულის ესპანეთიდან მიწოდებაში შეფერხებები კიდევ რამდენიმე თვე გაგრძელდება.

ბრიტანულმა სუპერმარკეტებმა ამის თაობაზე მომხმარებლები ჯერ კიდევ შობის დღესასწაულებამდე გააფრთხილეს. ზოგიერთი კომპანია კი პრობლემის მოგვარებას ბოსტნეული პროდუქტების აშშ-დან სასწრაფო შემოტანით ცდილობს.

ჯოხვოხდი ა



შვეულად: 1. აღდგომის მისალოცი სიმღერა; 2. შთამომავლობის თითოეული საფეხური; 3. ქვის ხავსი; 5. ისტორიული სამთავრო დასავლეთ საქართველოში; 6. შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 8. თებერვლის თვის ქართული სახელწოდება; 10. სპილენძის შემცველი ლურჯი ფერის მინერალი; 12. საქართველოს ეროვნული გმირი; 14. აეროპორტი ქაიროში; 15. ტროპიკული პალმის ნაყოფი; 16. პერიოდულ-ბეჭდვით გამოცემათა ერთობლიობა.

თარაზულად: 1. ისტორიული ქართული სამთავრო შავი ზღვის სანაპიროზე; 4. სამართლის რომელიმე დარგის კანონთა კრებული; 7. ჰოლივუდის კინორეჟისორი, სამი ოსკარის ლაურეატი; 9. მეცნიერება აზროვნების ფორმებისა და კანონების შესახებ; 11. საადგილმამულო საკრედიტო დაწესებულება ძველად საქართველოში; 12. ქართველი ფრენბურთელი მამაკაცი, ოლიმპიური ჩემპიონი; 13. მდინარე მტკვრის მარჯვენა შენაკადი; 17. მონასტრის მეურნეობის მმართველი; 18. ირლანდიის ისტორიული სახელწოდება; 19. ქართველი ძიუდოისტი, ოლიმპიური ჩემპიონი; 20. ძველბერძენი მათემატიკოსი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა